ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

გიორგი გერმესაშვილი

საქართველოს ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაცია: გეოსტრატეგიული ანალიზი

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი მელიქიძე

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2022 წელი

ანოტაცია

ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია და საბოლოოდ გაწევრიანება უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს მიზანთაგანს წარმოადგენს, საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის და პოსტ-საბჭოთა ქართული სახელმწიფოსთვის დროის სვლასთან ერთად საკითხი არათუ კარგავს აქტუალურობას, არამედ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

მოცემული კვლევის მიზანია ყველა იმ ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთა და გაანალიზება რაც საქართველოს ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების პროცესში ხელს უწყობს ან პირიქით ხელს უშლის. აღსანიშნავია, რომ კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს გეოსტრატეგიულ მდგომარეობასა და ღირებულებას და ამასთანავე ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკური კომპონენტების ანალიზს რაც ასევე დიდწილად მოქმედებს ევროკავშირისთვის და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისთვის საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობის გაზრდაზე ან პირიქით, შემცირებაზე.

აღნიშნული კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდებს, კონკრეტულად: კონტენტ ანალიზს, შედარებით ანალიზსა და სიღრმისეულ ინტერვიუებს. კვლევის საფუძველზე გაანალიზდა თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში, ქვეყნის გეოსტრატეგიულ ფასს.

სარჩევი

შესავალი 4

თავი I. ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაცია 11

1.1. ევროპული და ჩრდილო ატლანტიკური ინტეგრაციის თეორიული ასპექტები. 15

1.2. პოსტ-საბჭოთა საქართველო: დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი ათწლეული, ვარდების რევოლუცია და ახალი საგარეო პოლიტიკა. 18

1.3. საქართველოს დასავლური არჩევანის ობიექტური მიზეზები. 22

თავი II. საქართველოს გეოსტრატეგიის განსაზღვრა 26

2.1. გეოპოლიტიკური ვითარება და საქართველოს გეოსტრატეგია 26

2.2. დასავლეთის მოზომილი პოლიტიკა vs რუსეთის აგრესიული პოლიტიკა: დასავლეთისა და რუსეთის პოლიტიკის ახსნა ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიით... 30

თავი III. საქართველოს ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორები 34

3.1. საშინაო ფაქტორები: შესაბამისობა ევროპულ და ჩრდილო ატლანტიკურ სტანდარტებთან 34

3.2. საგარეო ფაქტორები: ქართულ პოლიტიკაში „სწორ დროს, სწორ ადგილას“ სტრატეგიის ნაკლებობა და რუსული ოკუპაცია - უმთავრესი დამაბრკოლებელი ფაქტორი 41

დასკვნა 45

გამოყენებული ლიტერატურა: 47

დანართი #1: სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი 51

შესავალი

თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია და გაწევრიანება ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით დასრულდა საბჭოთა საქართველოს არსებობის პერიოდი და ქართველი ერისთვის დაიწყო ახალი, გამოწვევებით სავსე და საკმაოდ რთული, თუმცა ამავე დროს საინტერესო საუკუნე. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისთვის საერთაშორისო სისტემაში, რომელიც ქაოტურობით ხასიათდება, აუცილებელი იყო ძლიერი მოკავშირეების გაჩენა, საქართველო 90-იანი წლების პერიოდში ჯერ კიდევ შეუმდგარ სახელმწიფოს წარმოადგენდა, შესაბამისად ძლიერი სახელმწიფოების გვერდში დგომა საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის გადამწყვეტ როლს თამაშობდა.

ისე როგორც სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, საქართველოსაც მოუწია საგარეო პოლიტიკური ვექტორის არჩევა და საქართველომ განსაკუთრებით 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან არჩევანი გააკეთა რუსეთისგან დისტანცირების პოლიტიკაზე და დასავლურ სახელმწიფოებთან და სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე.

საქართველოს მიერ არჩეული საგარეო პოლიტიკური ვექტორი დიდწილად განპირობებული არის საქართველოს ისტორიული, კულტურული და პოლიტიკური კავშირებით დასავლეთ ევროპასთან. გარდამავალი გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, ისტორიულად საქართველო ყოველთვის იყო ევროპული სახელმწიფო, შესაბამისად ნამდვილად ლოგიკური არის საქართველოს არჩევანი, დაბრუნებულიყო ევროპულ ოჯახში, ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისა და გაწევრიანების მეშვეობით.

საქართველოს დასავლური არჩევანი კრემლის ყურადღების მიღმა ნამდვილად არ დარჩენილა და ეს აისახა კიდეც რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკასა და ქართული სახელმწიფოს მიმართ რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაში. საქართველოს მოუწია რუსეთის ფედერაციასთან, მის მიერ მხარდაჭერილ და წახალისებულ, ე.წ პროქსი ძალებთან ომი, საკუთარი ტერიტორიული მთლიანობისთვის, რამაც ჯერ კიდევ

სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ საქართველოს და მის მყიფე ეკონომიკას დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური თავსატეხი გაუჩინა.

საქართველოს დასავლური კურსის გამო რუსეთის მწვავე პოზიციას და აგრესიულ პოლიტიკას თავისი ახსნა აქვს და ეს სწორედ საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობით აიხსნება. საქართველო გეოგრაფიულად გარდამავალი სახელმწიფოა ევროპასა და აზიას შორის და შესაბამისად ორ რადიკალურად განსხვავებულ სამყაროს ერთმანეთთან აკავშირებს. ისტორიულად საქართველო ყოველთვის მნიშვნელოვანი ქვეყანა იყო საკუთარი სტრატეგიულად მომხიბვლელი მდებარეობიდან გამომდინარე და შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს მთელი მისი არსებობის განმავლობაში ხშირად უწევდა ბრძოლა იმპერიების წინააღმდეგ. საქართველო საუკუნეების განმავლობაში მასპინძლობდა აბრეშუმის გზას და იყო ცივილიზაციათა გადაკვეთის წერტილი, თუმცა მე-19 საუკუნიდან აღნიშნული როლი რუსეთმა შეითავსა, ქართული სამეფო-სამთავროების ძალდატანებით მიერთების შემდგომ. შესაბამისად არაა გასაკვირი, რომ 1991 წლიდან დამოუკიდებლობა აღდგენილი საქართველოს სუვერენულობა და სტაბილური განვითარება რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა.

რუსეთი დღესაც ვერ და არ ეგუება საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (NATO) და ევროკავშირთან, თუმცა არც ევროატლანტიკური სტრუქტურებია საქართველოს მიმართ გულგრილი. ამის დასტურია რუსეთის აგრესიის მიუხედავად ურთიერთობების გაგრძელება და საქართველოს მეტად დაახლოება ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებთან. 2011 წლიდან საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ასპირანტი სახელმიწოფს სტატუსს ატარებს, ხოლო 2014 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაოფრმდა ასოცირების შეთანხმება. მიუხედავად ამისა საქართველო დღემდე არ არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ან ევროკავშირის წევრი, რადგან ინტეგრაციის პროცესს წინ უდგას საკმაოდ დიდი, როგორც საშინაო, ისე საგარეო გამოწვევები და წინაღობები. ზემოთხსენებულიდან გამომდინარე საქართველოს ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაცია დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს: საქართველოს ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის ობიექტურად შეფასებას, იმის გაანალიზებას თუ რამდენად არის თანხვედრაში საქართველოს დასავლური მისწრაფებები და პოლიტიკური ნაბიჯები ერთმანეთთან, რამდენად დიდია საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობა ევროკავშირისთვის და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისთვის.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად განსაზღვრულ იქნა შემდეგი ამოცანები:

1. გაანალიზდეს საქართველოს ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში არსებული გამოწვევები.
2. განხილულ იქნას საქართველოს გეოსტრატეგიის როლი ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების პროცესში.
3. შესწავლილ იქნას ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (NATO) პოლიტიკა და პრიორიტეტები საქართველოსთან ურთიერთობისას.
4. შესწავლილ იქნას რუსეთის საგარეო პოლიტიკა და მისი პრიორიტეტები, საქართველოსთან მიმართებით.

კვლევის ობიექტებს წარმოადგენდნენ:

1. ევროკავშირი და მასში შემავალი წევრი სახელმწიფოები.
2. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია და მასში შემევალი წევრი სახელმწიფოები.
3. საქართველოს მთავრობების პოლიტიკა ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ.
4. გერმანიის პოლიტიკა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში.
5. საფრანგეთის პოლიტიკა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში.
6. რუსეთის პოლიტიკა დასავლურ სტრუქტურებთან და საქართველოსთან მიმართებით.

ნაშრომის საკვლევი კითხვებია:

1. რამდენად დიდ როლს თამაშობს საქართველოს გეოსტრატეგია ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში.

2. რამდენადაა დამოკიდებული საქართველოს გეოსტრატეგია და მისი ცვლილება საქართველოს საგარეო და საშინაო ფაქტორებზე.

კვლევის ჰიპოთეზა:

1. ქვეყნის გეოსტრატეგია, მდებარეობა, და გეოსტრატეგიის ცვლილება გადამწყვეტ როლს თამაშობს ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში.
2. საშინაო და საგარეო ფაქტორების კომბინაცია განაპირობებს ქვეყნის გეოსტრატეგიას და მის ცვლილებას.

ცვლადები და ოპერაციონალიზაცია: ძირითადი ცვლადები: საქართველოს საშინაო პოლიტკა დამოუკიდებელი ცვლადია, მასზე დამოკიდებული კი არის - საგარეო პოლიტიკა, ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის კუთხით. დამოუკიდებელი ცვლადია- საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ხოლო მასზე დამოკიდებული ცვლადია- საქართველოს გეოსტრატეგია და მდგომარეობა.

თეორიული ჩარჩო: წინამდებარე ნაშრომისთვის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ნეოკლასიკური რეალიზმის თეორია. „ნეოკლასიკური რეალიზმი“ (Rose, 1998). როგორც ტერმინი პირველად დაამკვიდრა ებრაული წარმოშობის ამერიკელმა ავტორმა გიდეონ როუზმა. ნეოკლასიკური რეალიზმის თეორია რეალიზმის სხვა თეორიებთან შედარებით ახალია და ის ერთგვარი ნაზავია რეალიზმის წინა თეორიების, კლასიკური რეალიზმისა და ნეორეალიზმის (განსაკუთრებით თავდაცვითი რეალიზმის). განსხვავებით რეალიზმის სხვა თეორიებისა, ნეოკლასიკური რეალიზმი გადაჭარბებულ ყურადღებას არც ქვეყნის საშინაო პოლიტიკას და ზედმეტად არც საერთაშორისო სისტემას უთმობს, პირიქით ნეოკლასიკური რეალიზმი ცდილობს ახსნას თანამედროვე მსოფლიოში საშინაო და საგარეო ფაქტორების გავლენა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების დროს. ნეოკლასიკური რეალიზმი ამტკიცებს შემდეგს:

1. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა კომპლექსური ფენომენია და ის როგორც წესი შედეგია როგორც გარე, ასევე შიდა ფაქტორების
2. შიდა პოლიტიკური ფაქტორების დიდი გავლენის შემდეგ, წამყვანი - გარე ფაქტორებია
3. საერთაშორისო ურთიერთობების მთლიანი სურათის შესაქმნელად მნიშვნელოვანია საგარეო პოლიტიკსა და საშინაო პოლიტიკის ანალიზი.

თეორიული ჩარჩოსთვის ძირითადი თეორიის დამხმარე თეორიად გამოყენებულ იქნა მულტილატერალიზმი (თუმც აღსანიშნავია რომ თეორიაზე მეტად მულტილატერალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ტერმინი უფროა). საერთაშორისო ურთიერთობებში მულტილატერალიზმი აიხსნება როგორც მრავალი სახელმწიფოს თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. მულტილატერალურია ევროკავშირი და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. მულტილატერალური მიდგომა ითვალისწინებს ალიანსში (მაგალითად ნატოსა და ევროკავშირში) შემავალი წევრი ქვეყნების სამართლებრივ თანასწორობას ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც საკუთარი სიდიდიდან და ძალიდან გამომდინარე საერთაშორისო პოლიტიკაში მეტად დამოუკიდებლები და უნილატერალიზმისკენ მიდრეკილები არიან. მოკლედ რომ ვთქვათ, იქ სადაც არის მულტილატერალიზმი, გათვალისწინებულია ყველას აზრი.

კვლევის მეთოდოლოგია: წინამდებარე კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას, კერძოდ: სიღრმისეულ ინტერვიუს, კონტენტ-ანალიზსა და შედარებით ანალიზს.

საწყის ეტაპზე ჩატარდა სამაგიდო კვლევა, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა სხვავდასხვა პუბლიკაციები, ელექტრონული წყაროები (ელექტრონული მედიის საიტები; საინფორმაციო სააგენტოების ახალი ამბები), საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე ნაშრომები.კვლევის მომდევნო ეტაპზე ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ, რომლის ფარგლებშიც დისტანციურ რეჟიმში ინტერვიუ შედგა 6 რესპონდენტთან: საქართველოს ელჩთან დანიის სამეფოსა და ისლანდიაში, „აბრეშუმის გზის ასოციაციის“ თანადამფუძნებლებთან, „ჰარმონიული გლობალიზაციისა და მართვის ინსტიტუტის“ დირექტორთან და სხვა კომპეტენტურ პირებთან. ასევე ჩატარდა შედარებითი ანალიზი, რის საფუძველზეც საქართველოსა და ევროპული და ჩრდილოატლანტიკური სტრუქტურების ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს სხვადასხვა მახასიათებლების შედარებით შესწავლილ იქნა საქართველოს მზაობა და შესაბამისობა ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში წევრობის სტანდარტებთან.

შერჩევა: სიღრმისეული ინტერვიუსთვის რესპონდენტების შესარჩევად გამოყენებულ იქნა არაალბათური შერჩევა, კერძოდ კი მიზნობრივი შერჩევა. რესპონდენტთა შერჩევისას პრიორიტეტი იყო მათი გამოცდილება, საკვლევ საკითხთან შემხებლობა და ინტერვიუსთვის მზაობა.

კვლევის ლიმიტი: კვლევის ფარგლებში შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა საქართველოს ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაცია და გამოწვევები, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ნაშრომი დასრულებული სახით წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 2022 წლის 19 ივნისიდან 24 ივნისამდე, კვლევაში განხილული ვერ იქნება ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული საბოლოო პასუხი, თუმცა მიმოხილულია 2022 წლის 17 ივნისის ევრო საბჭოს რეკომენდაცია ევროკავშირის ლიდერების მიმართ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსთან დაკავშირებით. ასევე კვლევაში განხილული ვერ იქნება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 2022 წლის 28-30 ივნისის მადრიდის სამიტის შედეგები.

კვლევა ეყრდნობა შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურას:

გვალია, გ. ლებანიძე, ბ. სიროკი, დ.ს. (2019) "ნეოკლასიკური რეალიზმი და პატარა სახელმწიფოები: სისტემური შეზღუდვები და საშინაო ფილტრები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში". ნაშრომში საუბარია იმაზე თუ რა განასხვავებს ნეოკლასიკურ რეალიზმს სტრუქტურული რეალიზმისგან. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია საქართველოს საგარეო პოლიტიკა და ის ცვლადები რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე ახდენს გავლენას.

გიდეონ როუზი (1998) "ნეოკლასიკური რეალიზმი და საგარეო პოლიტიკის თეორიები". ნაშრომში ავტორი განიხილავს საგარეო პოლიტიკის სამ ძირითად თეორიას და განიხილავვს ნეოკლასიკური რეალიზმის ხასიათს. ნაშრომში გაანალიზებულია საგარეო და საშინაო კონტექსტები, რომლებიც აყალიბებს ქვეყნების საგარეო პოლიტიკას.

კრისტენსენ,თ. (1996) „სასარგებლო მოწინააღმდეგეები: დიდი სტრატეგია, შიდა მობილიზაცია და ჩინურ-ამერიკული კონფლიქტი", (პრინსტონი: საუნივერსიტეტო

გამოცემა). მოცემულ ნაშრომში ავტორი ნეოკლასიკური რეალიზმის ჭრილში განიხილავს ჩინეთისა და ამერიკის ორმხრივ ურთიერთობებს ცივი ომის პერიოდში.

კაკაჩია, კ. ბეტგერი, კ. ლებანიძე, ბ. პალმი ვ. და სარჯველაძე მ. (2019) „ქართულ-გერმანული ურთიერთობები ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში- როგორ შევაჯეროთ მოლოდინები?“ პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი/ევროპის პოლიტიკის ინსტიტუტი. თბილისი. აღნიშნულ პუბლიკაციაში განხილულია საქართველოსა და გერმანიას შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობები, ისტორიული კავშირები და გერმანიის პოლიტიკა და პოზიციები საქართველოს ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

გაჩეჩილაძე, რ. (2017) „საქართველო მსოფლიო კონტექსტში-xx და xxi საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები“, (მეორე განახლებული გამოცემა), თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია მსოფლიო პოლიტიკა მეოცე საუკუნის პირველ და მეორე ნახევარში, საქართველოს პირველი და მეორე დამოუკიდებლობის პერიოდი და მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა.

ნაშრომი შედგება სამი თავისგან - ნაშრომის პირველ თავში განხილულია ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის, ასევე პოსტ საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი ათწლეული, ვარდების რევოლუცია და მკვეთრი საგარეო პოლიტიკური ცვლილებები და ასევე განხილულია ისტორიული ურთიერთობები დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოებთან და საქართველოს დასავლური არჩევანის ობიექტური მიზეზები. ნაშრომის მეორე თავში განხილულია საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, გეოსტრატეგია და ამ ყოველივეს გავლენა ევროპულ და ჩრდილო ატლატნიკურ ინტეგრაციაზე. ნაშრომის მესამე თავში განხილულია საქართველოს ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელი საშინაო და საგარეო ფაქტორები, რუსული ოკუპაციის როლი და ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის პოლიტიკა.

თავი I. ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაცია

საუკუნეების განმავლობაში მსოფლიო ისტორიას არაერთი დაპირისპირება, ლოკალური კონფლიქტი თუ დიდი ომების სერია შემოუნახავს ჩვენთვის, მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ისეთი მასშტაბური და სისხლისმღვრელი ომები, როგორიც მეოცე საუკუნის პირველ ნახევრის ორი მსოფლიო ომი იყო. მსოფლიო ომი- აღნიშნული სახელი კარგად აღწერს ომის მასშტაბებს.

აღსანიშნავია, რომ ორივე მსოფლიო ომის ეპიცენტრი და საწყისი ადგილი ევროპა გახლდათ. პირველი მსოფლიო ომის მიზეზები მარტივია, ეს იყო ომი იმპერიებს შორის კოლონიებისა და გავლენათა სფეროების გამო. პირველი მსოფლიო ომის დასასრულს დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებები ახლდა თან, ასეთი ცვლილებები იყო ომის შემდეგ დამცირებულ და ზედმეტად დასჯილ გერმანიის ხელისუფლების სათავეში ნაცისტების მოსვლა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში კი რუსეთის იმპერიის დაშლა და ბოლშევიკური რევოლუცია, რომლის შედაგადაც მსოფლიოში წარმოიშვა პირველი ბოლშევიკური სახელმწიფო, ბოლშევიკური რუსეთის სახით და რომელიც 1922 წლის 30 დეკემბერს ოკუპირებული მეზობლების (მათ შორის 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის მიერ ოკუპირებული, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკაც შედიოდა) ძალდატანებითი გაერთიანებით ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირად.

1939 წლის 1 სექტემბერს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც მსოფლიო ორ დაპირისპირებულ მხარედ გაყო ეს იყო ნაცისტური გერმანია მისი მოკავშირეებით და ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოები საბჭოთა კავშირთან ერთად. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელმა ომმა რადიკალურად განსხვავებული კაპიტალისტური დასავლური სახელმწიფოები და კომუნისტური საბჭოთა კავშირი მოკავშირეებად აქცია, თუმცა ძალიან მალევე, 1945 წლიდან, როდესაც მეორე მსოფლიო ომი ოფიციალურად დასრულდა, აშკარა იყო, რომ ომის დროს დასავლურ-საბჭოური მოკავშირეობა ვერ გაგრძელდებოდა, რადგან სტალინმა აღმოსავლეთ ევროპა და გერმანიის ნახევარი (შემდგომში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკად წოდებული

სახელმწიფო) „გააწითლა“, აღნიშნულთან დაკავშირებით 1946 წლის 5 მარტს, ამერიკის შეერთებულ შტატებში სიტყვით გამოვიდა დიდი ბრიტანეთის პრემიერი და სტალინის მიერ იდეოლოგიურად გაყოფილ ევროპაზე თქვა, რომ სტალინმა ევროპა ორად გაყო, და გაყოფილი ევროპის შუაში „რკინის ფარდა“ ჩამოუშვა.

ცხადი იყო, რომ საბჭოთა კავშირი არ აპირებდა არსებული გავლენებით დაკმაყოფილებას და ის შეეცდებოდა დანარჩენ ევროპაშიც კომუნისტური რევოლუციების ორგანიზებასა და ევროპის გაკომუნისტებას. აღნიშნული გამოწვევის საპირისპიროდ 1949 წლის 4 აპრილს 12 სახელმწიფოს ლიდერმა, აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში ხელი მოაწერა ჩრდილო ატლანტიკურ ხელშეკრულებას, აღნიშნული ხელშეკრულებით 11 სახელმწიფო აშშ-ს ატომური ქოლგის ქვეშ მოექცა, რამაც მათი უსაფრთხოების ხარისხი რადიკალურად გაზარდა. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით სახელმწიფოები იზიარებდნენ იმ რისკს და ამასთანავე დიდ უპირატესობას, რომელსაც ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მე-5 მუხლის სახელით ვიცნობთ. მე-5 მუხლი ითვალისწინებს შემდეგს: ორგანიზაციის ნებისმიერ წევრზე მიტანილი იერიში უდრის ორგანიზაციის ყველა სხვა წევრზე იერიშის მიტანას, რაც სავალდებულოს ხდის თავდასხმის მსხვერპლი ქვეყნის დაცვას კოლექტიური დაცვის მექანიზმების ამოქმედებით. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი პირველად ყველაზე ახლოს ცივი ომის პერიოდში მიუახლოვდა საბჭოთა კავშირის საზღვრებს, კერძოდ ეს მოხდა 1952 წელს თურქეთის ალიანსში გაწევრიანებით.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შეიქმნა არა მხოლოდ ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, არამედ ევროკავშირიც. ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისაგან განსხვავებით ევროპული კავშირის იდეა უფრო ძველია თუმცა ამავდროულად ევროკავშირის ოფიციალურად დაარსება 1993 წლის, 1 ნოემბერს მოხდა (მანამდე კი 1992 წლის 7 თებერვალს ხელი მოეწერა მაასტრიხტის შეთანხმებას, ქალაქ მაასტრიხტში, ნიდერლანდებში).

როგორც უკვე აღვნიშნე თავად იდეა ევროპული ერთობის შესახებ საკმაოდ ძველია, ევროპის გაერთიანების პირველი შემთხვევა ანტიკურ პერიოდში გვხვდება რომის იმპერიის სახით, შემდგომში ევროპული სახელმწიფოების გამაერთიანებელი იყო

ფრანკთა იმპერია და საღვთო რომის იმპერია, თუმცა რეალურად ზემოთხსენებული გაერთიანებები იყო ძალდატანებითი, იმპერიალისტური, დაპყრობითი პოლიტიკის შედეგი. მშვიდობითა და ურთიერთთანხმობით შეკრული ევროპული კავშირის იდეა, პირველად ფრანგმა მწერალმა, ვიქტორ ჰიუგომ მე-19 საუკუნეში გააჟღერა პარიზში, საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესზე. პირველად კი ევროპული ერთიანი კავშირის ხორცშესხმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გახდა შესაძლებელი.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში დასავლეთ ევროპის წამყვან სახელმწიფოებში მომწიფდა აზრი იმის შესახებ, რომ საჭირო იყო ისეთი კავშირის შექმნა, რომელიც მშვიდობასა და სტაბილურობას მოუტანდა ევროპას, ასეთი კავშირის პირველი ჩანასახი კი გახლდათ 1951 წელს ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების დაფუძნება. შემდგომში შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა და ატომური ენერგიის ევროპული თანამეგობრობაც, საბოლოოდ კი ამ ყველაფერმა 1993 წელს 12 ევროპული სახელმწიფო ერთ ევროპულ კავშირში გააერთიანა, ეს იყო ევროპაში პირველი, მშვიდობიანი გზით შექმნილი მრავალი ერის კავშირი, ანუ სუპრაეროვნული გაერთიანება.

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისაგან განსხვავებით, რომელიც სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია და შეიქმნა საბჭოთა კავშირისაგან წამოსული საფრთხეების საპირწონედ, ევროკავშირი სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური სუპრაეროვნული გაერთიანებაა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გაერთიანება სხვადასხვა მიზნებს ეხება და ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოდან 21 ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრიცაა, რაც ევროკავშირს გარკვეულწილად ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების კოლექტიური თავდაცვის მე-5 მუხლით იცავს. ევროკავშირსა და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს შორის არსებობს თანამშრომლობის სხვადასხვა შეთანხმებაც, კერძოდ: 2002 წლის ნატო-ევროკავშირის დეკლარაცია ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესახებ. 2003 წლის ე.წ „ბერლინის პლუსი“ რაც ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მხარდაჭერას გულისხმობს. 2018 წლის 10 ივლისის დეკლარაცია, რომელიც მოიცავს ორმხრივ თანამშრომლობას

ტერორიზმის წინააღმდეგ და ასევე თანამშრომლობას ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ატომური რისკების წინააღმდეგ.

ევროკავშირსაც და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასაც აქვთ გაფართოების საკუთარი პოლიტიკა. ბოლოს ევროკავშირი 2013 წელს გაფართოვდა, ხოლო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი ბოლოს 2020 წელს გაფართოვდა. ევროკავშირსა და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება საკმაოდ კომპლექსური და დროში გაწელილი პროცესია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ბოლო გაფართოებებს და ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი სახელმწიფოების სკეპტიკურ დამოკიდებულებებს გაფართოების პოლიტიკასთან დაკავშირებით. ორივე ორგანიზაციას აქვს წევრობის კრიტერიუმები და სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებნენ წევრობის მსურველი აპლიკანტი სახელმწიფოები. საქართველო სამი ათწლეულია რაც ევროკავშირთან და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობს. რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საქართველოს აქვს ამბიცია გახდეს ევროკავშირისა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფო, რადგანაც ერთი სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების, ხოლო მეორე ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისა და სტაბილური მომავლის გარანტია. საქართველომ ევროკავშირთან პარტნიორობა 1995 წლიდან დაიწყო თუმცა ასოცირების ხელშეკრულება 2014 წელს გაფორმდა, თუმცა მაინც, 2014 წლიდან დღემდე საქართველო ჯერ კიდევ არ მიუღია კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, შესაბამისად ინტეგრაცია უახლოეს მომალში წევრობით რომ დაგვირგვინდეს ნაკლებ სავარაუდოა.

რაც შეეხება საქართველოს ინტეგრაციას ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში, პროცესი 1992 წელს დაიწყო, როდესაც ქვეყანა ოფიციალურად შეუერთდა ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (ამ უკანასკნელს 1997 წლიდან სახელი შეეცვალა და ამჟამად ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის სახელითაა ცნობილი). საქართველომ უმნიშვნელოვანესი და თამამი ნაბიჯი გადადგა 2002 წლის პრაღის სამიტზე, როდესაც ოფიციალურად განაცხადა, რომ ქვეყანას სურვილი აქვს გახდეს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი. საქართველო 2004 წლიდან გახდა ჩრდილო

ატლანტიკური ალიანსის პარტნიორი სახელმწიფო, თუმცა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდგომ ნატოში გაწევრიანებაც შორეულ პერსპექტივად გადაიქცა.

1.1. ევროპული და ჩრდილო ატლანტიკური ინტეგრაციის თეორიული ასპექტები.

საქართველოს ევროპულ და ჩრდილო ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება უკვე რამდენიმე ათწლეულია რაც აქტუალურ თემას წარმოადგენს, დროის სვლასთან ინტეგრაციის საკითხი კიდევ უფრო მეტად აქტუალური ხდება, შესაბამისად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უამრავი ნაშრომი, პუბლიკაცია თუ სტატია არსებობს.

წინამდებარე საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი პირველი პუბლიკაცია, რომელსაც გავეცანი არის „ქართულ-გერმანული ურთიერთობები ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში- როგორ შევაჯეროთ მოლოდინები?“ (კაკაჩია, et al. 2019). აღნიშნულ პუბლიკაციაში კარგადაა განხილული გერმანულ-ქართული ისტორიული და თანამედროვე ურთიერთობები, გერმანიის პოზიციები საქართველოს ევროკავშირსა და ჩრდილო ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით, კარგადაა ახსნილი გერმანიის „გულგრილი“ პოლიტიკის მიზეზები. პუბლიკაციაში კარგადაა ახსნილი თუ რამხელა განსხვავებაა ქართულ და გერმანულ პოზიციებს შორის. ქართული პოზიციები ხშირად ზედმეტი მოლოდინებითაა სავსე თუმცა გერმანიის პოზიციები პირიქით, ზედმეტად მოზომილი და სკეპტიციზმ ნარევია. პუბლიკაციაში ასევე კარგადაა ახსნილი თუ რა დამოკიდებულებები გაჩნდა საქართველოში 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე გერმანიის პოზიციის შემდეგ, ასევე კარგადაა ახსნილი ისიც, რომ საქართველოს გერმანიასთან არ ჰქონია ისეთი მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები, როგორცი მაგალითად აშშ-სთან ამან კი საბოლოოდ გერმანიისა და საქართველოს ინტერესთა დაახლოებას შეუშალა ხელი. მიუხედავად იმისა, რომ პუბლიკაციაში გამოკვეთილ მოსაზრებებს სრულიად ვიზიარებ, მაინც ჩემს ნაშრომში გერმანიის პოლიტიკას (საფრანგეთის და რუსეთის პოლიტიკასაც) განვიხილავ ნეოკლასიკური თეორიიდან გამომდინარე.

მეორე ნაშრომი რომელსაც გავეცანი გახლავთ „საქართველო მსოფლიო კონტექსტში- xx და xxi საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები“, (გაჩეჩილაძე, 2017). წიგნში კარგადაა ძირფესვიანადაა განხილული მე-20 და 21-ე საუკუნეების საქართველო მსოფლიო პოლიტიკურ კონტექსტში. წიგნში კარგადაა ახსნილი საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფია, მისი ცვალებადობა და კარგადაა ახსნილი თუ რატომაა საქართველო ევროპა. ავტორის მოსაზრებას, საქართველოს სადაო მდებარეობის შესახებ სრულიად ვიზიარებ. ავტორის აზრით არსებობს ერთი დიდი კონტინენტი, ევრაზიის სახით, ხოლო ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც ხშირად ევროპის კონტინენტს უწოდებენ არის უბრალოდ ევროპის ნახევარ კუნძული, რომელიც ერთი დიდი ევრაზიული კონტინენტის ნაწილია. აღნიშნულ მოსაზრებას ვიზიარებ გამომდინარე იქიდან, რომ ევროპა და აზია არაა გაყოფილი ზღვით ან ოკეანით და თანაც კონტინენტის ევროპად და აზიად დაყოფის თეორიები ზედმეტად ხელოვნური მეჩვენება. ბატონი რევაზ გაჩეჩილაძის აზრით საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობა დღეს მოქმედებს პოლიტიკურ- გეოგრაფიული მიდგომით რაც საქართველოს უდავოდ ევროპის ნაწილად წარმოაჩენს, ამის დასტური კი 1999 წელს დიდი განხილვის შედეგად საქართველოს ევროპის საბჭოში მიღებაა. ნაშრომში კარგადაა ასახული საქართველოს თანამედროვე სახელმწიფოდ ფორმირების პირველი ეტაპი მე-20 საუკუნეში, ასევე საბჭოთა პერიოდის საქართველო და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოს პრობლემებით სავსე პოსტ- საბჭოთა პირველი ათწლეული. წიგნში განხილულია ნატო-საქართველოსა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებიც და ასევე დემოკრატიის მომავალი და პერსპექტივები საქართველოში. ავტორის შეფასებით საქართველო პოსტ-საბჭოთა ქვეყნების იმ ნაწილს მიეკუთვნება, სადაც დემოკრატიას აქვს მომავალი, ამის დასტურად კი ავტორს მოჰყავს 2012 წლის არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში ქართული ოცნების მოსვლა, მართლაც, აღნიშნული შემთხვევა იყო პირველი, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა დემოკრატიული გზით და არა რევოლუციური გზით, თუმცა პირადად მე, დღევანდელი მდგომარეობა გარკვეულ ეჭვებს მიჩნს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მოხერხდება არჩევნების გზით მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ ჩანაცვლება.

მომდევნო სამი ნაშრომი რომელსაც გავეცანი ეხება ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიას, თუმცა სამივე ნაშრომი სხვადასხვა ავტორებისაა. პირველ ნაშრომს, რომელსაც ნეოკლასიკური რეალიზმის შესახებ გავეცანი, არის „ნეოკლასიკური რეალიზმი და პატარა სახელმწიფოები: სისტემური შეზღუდვები და საშინაო ფილტრები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში“ (გვალია, et al. 2019). ნაშრომში ახსნილია განსხვავებები ნეოკლასიკურ და სტრუქტურულ რეალიზმს შორის, ნაშრომში ასევე ახსნილია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ცვლილების მიზეზები, რომლებიც, ავტორის აზრით ნეოკლასიკური რეალიზმით უკეთ აიხსნება ვიდრე სტრუქტურული რეალიზმით. შემდეგი ნაშრომი, რომელსაც გავეცანი არის „ნეოკლასიკური რეალიზმი და საგარეო პოლიტიკის თეორიები“ (როუზი, 1998), რომელშიც გაანალიზებულია საგარეო და საშინაო პოლიტიკის კონტექსტები, რომლებიც აყალიბებენ ქვეყნების საგარეო პოლიტიკას. რაც შეეხება მესამე ნაშრომს, რომელსაც ნეოკლასიკური რეალიზმის შესახებ გავეცანი გახლავთ „სასარგებლო მოწინააღმდეგეები: დიდი სტრატეგია, შიდა მობილიზაცია და ჩინურ-ამერიკული კონფლიქტი“ (თომას კრისტენსენი,1996). მოცემულ ნაშრომში ავტორი ნეოკლასიკური რეალიზმის ჭრილში განიხილავს ჩინეთისა და ამერიკის ორმხრივ ურთიერთობებს ცივი ომის პერიოდში, აღნიშნული ნაშრომი კარგად ხსნის ჩინურ-ამერიკულ კონფლიქტს ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიული პარადიგმიდან, ჩემს ნაშრომში კი საქართველოს ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ რუსეთის, გერმანიისა და საფრანგეთის პოლიტიკის ახსნას, სწორედ ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიით ვეცდები.

მიზეზი იმისა თუ რატომ ავირჩიე თეორიულ ჩარჩოდ ნეოკლასიკური რეალიზმის თეორია, შემდეგში მდგომარეობს. ნეოკლასიკური რეალიზმის თეორია ნაზავია რეალიზმის სხვა თეორიების, კერძოდ კი კლასიკური რეალიზმის და ნეორეალიზმის (განსაკუთრებით თავდაცვითი რეალიზმის), თუმცა თავდაცვითი რეალიზმის გარდა ნეოკლასიკური რეალიზმის თეორია მოიცავს შეტევით რეალიზმს. ჩემი აზრით სხვა ვერცერთი თეორია უკეთ ვერ ახსნის გერმანია-საფრანგეთის არსებულ პოლიტიკას საქართველოს ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ.

როგორც უკვე აღვნიშნე ნეოკლასიკური რეალიზმი ერთგვარი ნაზავია რეალიზმის სხვა თეორიებისა, ნეოკლასიკური რეალიზმის მიხედვით საერთაშორისო სისტემაში

სახელმწიფოთა პოლიტიკა აიხსნება ინტერვენციული სისტემური ცვლადებითა (მაგ: გავლენათა გადანაწილება სახელმწიფოებს შორის) და ამასთანავე კოგნიტური (სხვა სახელმწიფოების პრიორიტეტები და მუქარები) და საშინაო ცვლადებით (სახელმწიფო ინსტიტუტები, პოლიტიკური ელიტები, საზოგადოება). სახელმწიფო უფრო მეტად შეტევითი რეალიზმით იხელმძღვანელებს თუ თავდაცვითი რეალიზმით, დამოკიდებულია სწორედ ზემოთხსენებულ ცვლადებზე. მაგალითად გერმანიისა და საფრანგეთი პოლიტიკა ხასიათდება თავდაცვითი რეალიზმით, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ მათ სურთ საკუთარი სუვერენიტეტის გავრცელება, გაძლიერება და გავლენების გაზრდა, ისინი მაინც ფრთხილ პოლიტიკას და უკვე არსებული გავლენისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებას უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, შესაბამისად ერიდებიან ე.წ სარისკო ნაბიჯების გადადგმას და ცდილობენ სტატუს ქვო შეინარჩუნონ.

იმისათვის, რომ ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიამ ბოლომდე კარგად ახსნას საქართველოს ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი და გეოსტრატეგია, მიზანშეწონილად ვთვლი საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული მულტილატერალიზმის ცნების გამოყენებასაც. გამომდინარე იქიდან, რომ ევროკავშირიცა და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაც მულტილატერალური კავშირებია, ანუ ნებისმიერი სერიოზული გადაწყვეტილება მიიღება საერთო კონსენსუსის პირობით, ეს უკანასკნელი კი კიდევ უფრო უკეთ ახსნის იმას, თუ რა ეტაპზეა საქართველო ევროპული და ჩრდილო ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე და რა სამომავლო პერსპექტივები გააჩნია მას.

1.2. პოსტ-საბჭოთა საქართველო: დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი ათწლეული, ვარდების რევოლუცია და ახალი საგარეო პოლიტიკა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიოდის მიმოხილვამდე, კარგი იქნება მიმოხილულ იქნას საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლები და შემავალ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის აღდგენის სერიები.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში სისტემური კრიზისი უკვე 70-იანი წლებიდან დაიწყო და იგი დღითიდღე უფრო ღმავდებოდა, აღნიშნული კრიზისი კი გარკვეულწილად ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობების გაძლიერებას. 1975 წელს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში გაფორმდა საერთაშორისო დონის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ხელმომწერ სახელმწიფოებს უნდა დაეცვათ ადამიანთა უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე საბჭოთა კავშირსაც ჰქონდა მოწერილი ხელი, ის მაინც არ იცავდა ადამიანთა უფლებებს და ეს, დღეს საერთაშორისოდ აღიარებული ფაქტია. ძალიან მალევე საქართველოში ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ დააარსეს „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი“, სწორედ ამ მომენტიდან იწყება საქართველოში ეროვნული მოძრაობის სერიოზული გააქტიურება საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ. 1985 წლიდან საბჭოთა კავშირის მეთაური გახდა მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც დღესდღეობით ცნობილია ე.წ „პერესტროიკის“ პოლიტიკით. აღნიშნული პოლიტიკა ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის არადემოკრატიულობის და არსებული პრობლემების აღიარებას და ამასთანავე საბჭოთა კავშირის დემოკრატიულად გარდაქმნის აუცილებლობას, თუმცა აღსანიშნავია, რომ „პერესტროიკამ“ ვერ შეძლო საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესის შეჩერება.

80-იანი წლების მიწურულს საქართველოში დაიწყო ანტი-საბჭოთა გამოსვლები „ეროვნული მოძრაობისა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების თაოსნობით. ამ პერიოდშივე კრემლმა გადაწყვიტა საქართველოში გაზრდილი ეროვნული სულისკვეთების ჩახშობა აფხაზი და ოსი სეპარატისტების წაქეზებით. 1989 წელს, სოფელ ლიხნში გაიმართა ყრილობა, სადაც აფხაზმა სეპარატისტებმა გამოაცხადეს საქართველოსგან გამოყოფის შესახებ, ამას მოჰყვა შიდა ქართლში, კერძოდ ცხინვალის რეგიონში ოსი სეპარატისტების გააქტიურებაც, რომლის მთავარი მოთხოვნაც ე.წ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა იყო (აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წელს შეიქმნა საბჭოთა კავშირის მიერ). წაქეზების პოლიტიკას ნამდვილად არ მოჰყვა ის შედეგები, რასაც კრემლში ელოდნენ, ანტი-ქართული და სეპარატისტული განცხადებების შემდეგ თბილისში, მთავრობის სახლის წინ დაიწყო მასობრივი გამოსვლები და სტუდენტთა შიმშილობა პროტესტის ნიშნად. მოვლენების

კულმინაცია იყო 9 აპრილის ტრაგედია, როდესაც კრემლი ერთგვარ ვა-ბანკზე წავიდა და დემონსტრაციის დასაშლელად სპეციალური რაზმები გამოგზავნა და პროტესტი სასტიკი მეთოდებით ჩაახშო,რასაც რამდენიმე ათეული ადამიანის გარდაცვალება მოჰყვა, ხოლო დასახიჩრებულთა რიცხვი ასეულებს ითვლიდა. აღსანიშნავია, რომ არც ამ პოლიტიკამ გაამართლა კრემლის იმედები, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა გაგრძელდა და 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით დაგვირგვინდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ანტი-საბჭოურ პროტესტების წამომწყებ ქვეყნებად ბალტიისპირეთის სამი ქვეყანა, ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი სახელდება ხოლმე, რაც რეალობას არ შეესაბამება. რეალურად საბჭოთა კავშირის დაშლა დაიწყო საქართველოდან და ეს გახლდათ პირველი ნათელი მაგალითი იმისა, რომ ქართველი ერი არ ეგუებოდა კრემლის ბატონობას და მას სურდა საკუთარი სუვერენული სახელმწიფო და დამოუკიდებლობის აღდგენა. დამოუკიდებლობის აღდგენას მოჰყვა საქართველოში დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების სათავეში ზვიად გამსახურდიას მოსვლა (უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნები ჩატარდა 1990 წელს, მაშინ, როცა საქართველო ჯერ კიდევ არ იყო ოფიციალურად დამოუკიდებელი).

სამწუხაროდ დამოუკიდებლობობა აღდგენილი საქართველოს პირველი ათწლეული ზედმეტად მძიმე გამოდგა, ქვეყანაში დაიწყო რუსეთის მიერ წაქეზებული ეთნო კონფლიქტები ცხინვალის რეგიონში (ე.წ სამხრეთ ოსეთი) და ომი აფხაზეთში (პარალელურად სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა დანარჩენ საქართველოში). 1993 წლის 27 სექტემბერს ქალაქი სოხუმი დაეცა, აღნიშნულს მოჰყვა აფხაზეთიდან ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, რის შედეგადაც აფხაზეთიდან 250 000-ზე მეტ ეთნიკურად ქართველსა და სხვა ეთნიკური უმცირესობებს (მაგ: ბერძნებს და ესტონელებს) მოუწიათ აფხაზეთის დატოვება. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით მაშინდელი საქართველო დიდ კრიზისში ჩავარდა.

90-იანების საქართველო ცნობილი იყო კრიმინალის მაღალი დონით, ინფლაციითა და გაჭირვების მაღალი მაჩვენებელით. 1991-1992 წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომი დასრულდა დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დამხობითა და ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლით

(აღსანიშნავია, რომ ედუარდ შევარდნაძე საერთაშორისო დონის პოლიტიკოსი იყო, იგი იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრიც „პერესტროიკის“ დროს და მან დიდი როლი ითამაშა ბერლინის კედლის დაშლასა და სტალინის მიერ გაყოფილი გერმანიის გაერთიანებაში).

ხელისუფლების სათავეში შევარდნაძის მოსვლას საქართველოსთვის დადებითი ცვლილებები არ მოჰყოლია, ქვეყნანაში ისევ გაჭირვება და კრიზისი მძვინვარებდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ სწორედ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში საქართველომ დაიწყო ორმხრივი ურთიერთობები აშშ-სთან, თურქეთთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, 1992 წლიდან ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (1992 წელს საქართველო გახადა ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის წევრი) და 1995 წლიდან ევროკავშირთან თანამშრომლობა, შევარდნაძის მმართველობის პერიოდშივე დაიწყო უმნიშვნელვანესი რეგიონალური და გლობალური დონის ნავთობსადენის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობა, რომელმაც საქართველოს მნიშვნელობა დიდწილად გაზარდა და აქედან დაიწყო საქართველოს ისტორიული სატრანზიტო როლის აღდგენა.

ზემოთხსენებულის მიუხედავად აუცილებლად უნდა განვიხილოთ შევარდნაძის მაშინდელი გეოსტრატეგია. ზვიად გამსახურდიასგან განსხვავებით, რომელიც რუსეთთან დისტანცირების პოლიტიკას უჭერდა მხარს, ედუარდ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკა უფრო ფრთხილი იყო, 1993 წელს საქართველო გაწევრიანდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, მისი ინიციატივითვე საქართველოში განთავსდა რუსული სამხედრო შენაერთიც, შევარდნაძის ეს ნაბიჯები საქართველოს ჯერ კიდევ რუსეთის გავლენის სფეროდ ტოვებდა. შევარდნაძის ე.წ მოზომილი და ფრთხილი პოლიტიკა მის რეიტინგზე უარყოფითად აისახა თუმცა 2003 წლამდე შევარდნაძე მაინც ინარჩუნებდა ძალაუფლებას. 2003 წლის ნოემბრიდან მოვლენები შევარდნაძის საწინააღმდეგოდ განვითარდა, პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ ეგიდით გამოცხადდა დაუმორჩილებლობა და საბოლოოდ შევარდნაძის 11 წლიანი მმართველობის პერიოდი ე.წ ბნელი 90-იანები ვარდების რევოლუციით დასრულდა, ხოლო ქვეყნის სათავეში ნაციონალური მოძრაობა და მიხეილ სააკაშვილი მოვიდა.

ვარდების რევოლუციის უმთავრესი მიზნები შევარდნაძის გადაყენებასთან ერთად, საქართველოს ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაც იყო, სწორედ ამიტომ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის საწყისი პერიოდიდანვე საგრძნობლად შეიცვალა საქართველოს გეოსტრატეგიული მისწრაფებები, საქართველო ღიად და ოფიციალურ დონეზე აცხადებდა სურვილს გამხდარიყო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის წევრი, რაც საბოლოოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური პროგრესის საწინდარი უნდა ყოფილიყო. მიხეილ სააკაშვილის საგარეო პოლიტიკა გამოირჩეოდა აშშ-სთან ორმხრივი, სტრატეგიული ურთიერთობების განსაკუთრებული გაღრმავებით, რაც კრემლის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საგარეო პოლიტიკის შესამჩნევი და სერიოზული ცვლილებისა, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამშრომლობა(დსთ) 2009 წლამდე არ დაუტოვია, 2009 წელს აღნიშნული გადაწყვეტილება კი დიდწილად განპირობებული იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომით.

1.3. საქართველოს დასავლური არჩევანის ობიექტური მიზეზები.

კითხვაზე თუ რატომ გააკეთა საქართველომ დასავლური არჩევანი, პასუხის გაცემა არც ისე რთულია. საქართველოს დასავლურ არჩევანს, რომ ქვეყანა ინტეგრირდეს და გაწევრიანდეს ევროპულ და ჩრდილო ატლანტიკურ სტრუქტურებში ობიექტური მიზეზები გააჩნია. დავიწყოთ იქიდან, რომ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ქართულ-რუსული ურთიერთობები მძიმე ისტორიული მომენტების ნაკლებობას არ განიცდის. 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველო რუსეთს მოკავშირედ აღიარებდა, თუმცა ეს არანაირად არ აძლევდა რუსეთს იმის საფუძველს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობისთვის ბოლო მოეღო, რაც სამწუხაროდ 1801 წელს მოხდა. ქართული სამეფო სამთავროების რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობის შედეგად, რუსეთი აწარმოებდა ძალდატანებითი ასიმილაციის, რუსიფიკაციის პოლიტიკას, რასაც არაერთი აჯანყება მოჰყვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თუმცა ყველა აჯანყება რუსეთის იმპერიამ სისხლში ჩაახშო.

1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა რუსეთის იმპერიისგან და დაარსდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც იმ პერიოდისთვის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული სახელმწიფო იყო. საქართველოს დამოუკიდებლობას რუსეთი ადვილად არ შეგუებია, თუმცა 1920 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება რომლითაც საქართველო მიდიოდა მთელ რიგ დათმობებზე, რუსეთის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენულობისა და ნეიტრალიტეტის რიარების სანაცვლოდ.

სამწუხაროდ 1920 წლის მაისში დადებული რუსულ-ქართული შეთანხმება ისეთივე ყალბი აღმოჩნდა, როგორც გეორგიევსკის ტრაქტატი. 1921 წლის თებერვალს რუსეთის ბოლშევიკურმა, ე.წ წითელმა არმიამ საქართველოს ყველა მხრიდან შეუტია და საბოლოოდ 25 თებერვალს საქართველოს სრული ოკუპაცია მოახდინა. საქართველოს საბჭოთა ოკუპაცია დასაწყისშივე ზედმეტად მტკივნეული აღმოჩნდა, არცერთ სახელმწიფოს არ დაუკარგავს იმდენი რამდენიც დაკარგა საქართველომ, რომლის ტერიტორიებიც საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველი ხალხის დაუკითხავად უსამართლოდ დაურიგა მეზობლებს, ბოლოს ეს არ იკმარა და საქართველოში ოსურ-აფხაზური სეპარატისტული კერების გაჩენაზე დაიწყო მუშაობა, რაც სამომავლოდ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მომენტში უნდა აემოქმედებინა საქართველოს წინააღმდეგ. ყოველივე ამის გათვალისწინებით გასაკვირი არაა თუ რატომ აირჩია საქართველომ ევროპული და ჩრდილო ატლანტიკური ინტეგრაციის გზა და რუსეთისაგან დისტანცირებს პოლიტიკა.

რუსულ-ქართული რთული ურთიერთობების გარდა საქართველოს დასავლურ არჩევანს სხვა მიზეზებიც აქვს, როგორებიცაა: უსაფრთხოება, სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება და ა.შ. ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს საქართველოს უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა შეუძლია, ეს ქვეყანას კიდევ უფრო დაცულს და მიმზიდველს გახდის საერთაშორისო ინვესტიციების მოსაზიდად, რაც პირდაპირ წაადგება ქართულ ეკონომიკას. ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის კოლექტიური თავდაცვის მე-5 მუხლი საქართველოს დაიცავს მომავალში შესაძლო აგრესიისგანაც. რაც შეეხება ევროკავშირს, საქართველო ევროკავშირში

გაწევრიანებით შეუერთდება დიდ ევროპულ ოჯახს, რომელსაც ყოველთვის ეკუთვნოდა. ევროკავშირში წევრობა პირდაპირ აისახება საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზეც და ამასთანავე ქვეყნის რეგიონულ როლს კიდევ უფრო გაზრდის. თუ ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სოციო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ზოგად დონეს შევადარებთ რუსეთისა და მისი ევრაზიული კავშირების წევრი ქვეყნების დონეს, აშკარა იქნება თუ რამდენით ჩამორჩებიან რუსეთი და მისი მოკავშირეები ცხოვრების დონით ევროკავშირისა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრების უმეტესობას.

ზემოთხსენებული მიზეზების გარდა საქართველოს დასავლური არჩევანი პირდაპირ აიხსნება საქართველოს ისტორიული ადგილით ევროპულ ცივილიზაციაში. ექვსივე რესპონდენტი, რომელმაც სიღრმისეული ინტერვიუს ჩაწერისას ისაუბრა, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველო ისტორიულად ყოველთვის ევროპული ცივილიზაციის ნაწილი იყო. პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი და ასისტენტ-პროფესორი, ბატონი ზვიად აბაშიძე სიღრმისეულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ საქართველო ისტორიულად და კულტურულად ეკუთვნის ევროპას და შესაბამისად, თანამედროვე საქართველოს დასავლური კურსი გარკვეულწილად ნამდვილად აიხსნება მისი ისტორიული კავშირებით ევროპულ სახელმწიფოებთან. ბატონი ზვიადის აზრით საქართველოს მჭიდრო კავშირები ანტიკურ საბერძნეთთან და რომთან და ასევე ის ფაქტიც, რომ საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა მიიღო ქრისტიანობა, რომელიც შემდგომში ევროპის დომინანტური რელიგია გახდა, საქართველოს ევროპულ ცივილიზაციასთან თავიდანვე დააკავშირა და როგორც ის აღნიშნავს, საქართველოს დანარჩენ ევროპასთან კავშირი ბოლომდე მაშინაც კი არ გაუწყვეტავს, როცა აღმოსავლური იმპერიების გავლენის სფეროში მოექცა. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ევროპული ცივილიზაცია დიდწილად ანტიკური საბერძნეთისა და რომის, შემდგომში კი ქრისტიანული მორალის საბუძველზე ჩამოყალიბდა, მაშინ თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ საქართველო ისტორიულად ყოველთვის იყო ევროპული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი. სხვათაშორის საქართველოს დანარჩენ ევროპასთან სერიოზულ კავშირებზე და ურთიერთგავლენებზე უძველეს წყაროს სწორედ მითი არგონავტების შესახებ წარმოადგენს, ასევე დიდი მსგავსებები და საერთო გმირები ქართულ და

ბერძნულ მითოლოგიებში. საქართველოს ურთიერთობებზე დანარჩენ ევროპულ სახელმწიფოებთან, ინფორმაციას გვაძლევს შუა საუკუნეების სხვადასხვა ევროპული წყაროები (ინფორმაციული კუთხით განსაკუთრებით მდიდარია ფრანგული და მოგვიანებით ბრიტანული წყაროები). საქართველო რომ ძნელბედობის პერიოდში დასავლეთ ევროპელ მონარქებთან აგზავნიდა დიპლომატიურ მისიებს, ესეც მეტყველებს იმაზე თუ ვინ ითვლებოდა ჩვენთან ახლო მდგომად ოდითგანვე, სხვათაშორის ის ფაქტიც, რომ საქართველოს 1783 წელს დადო გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთთან[1] მაინც იმის გამოხატულებაა, რომ საქართველო აზიასა და ევროპას შორის არჩევანს ყოველთვის ევროპაზე აკეთებდა, რადგანაც თავადვე ყოველთვის ეკუთვნოდა ევროპას.

[1] აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საქართველო თავდაუზოგავად ცდილობდა დასავლეთ ევროპელი მონარქების დახმარებით სპარსულ-ოსმალური მტრული პოლიტიკისგან თავდაცვას, თუმცა საქართველოს დიპლომატიური მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა და ბოლოს საქართველოს მაინც მოუწია უკანასკნელი ევროპული ალტერნატივისთვის, ანუ რუსეთისთვის მიემართა დასახმარებლად, რაც სამწუხაროდ მოგვიანებით ქართული სამეფო-სამთავროების რუსეთის მიერ დაპყრობით დასრულდა.

თავი II. საქართველოს გეოსტრატეგიის განსაზღვრა

2.1. გეოპოლიტიკური ვითარება და საქართველოს გეოსტრატეგია

იმისათვის, რომ ავხსნათ ზოგადი გეოპოლიტიკური ვითარება და საქართველოს გეოსტრატეგია, აუცილებებლია განვმართოთ თუ რა არის გეოპოლიტიკა და რა არის გეოსტრატეგია, რა აკავშირებთ მათ ერთმანეთთან და რა განასხვავებთ.

დავიწყოთ გეოპოლიტიკით, გეოპოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობებს მიეკუთვნება და ნიშნავს პოლიტიკის, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის წარმოებას გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით. მე-19 და მე-20 საუკუნეში იმპერიები საკუთარი დამპყრობლური პოლიტიკის გასამართლებლად სწორედ გეოპოლიტიკურ ფაქტორებს იყენებდნენ, მათ სურდათ რაც შეიძლება ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობისთვის მიეღწიათ, რათა მათი სუვერენულობა ფართო და მყარი ყოფილიყო.

წმინდად გეოპოლიტიკური თეორია გახლად ბრიტანელი გეოპოლიტიკოსისა და დიდი ბრიტანეთის საიდუმლო საბჭოს წევრის, ჰელფორდ ჯონ მაკინდერის „ჰართლენდის თეორია“. მაკინდერმა „ჰარტლენდის თეორიაზე“ დაწერა საკუთარ სტატიაში „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი“. ჰარტლენდის თეორიის მიხედვით მსოფლიო იყოფოდა შემდეგნაირად: მსოფლიოს ცენტრი იყო ე.წ მსოფლიო-კუნძული ანუ ევრაზია და მასთან გეოგრაფიულად ახლოს მყოფი აფრიკის კონტინენტი. ბრიტანეთი და იაპონია ერთგვარი ოფშორული ტერიტორიები[2] იყო. აღნიშნული თეორიის მიხედვით ჰარტლენდის ცენტრი მდებარეობდა აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთის ცენტრალურ ნაწილში, აღნიშნული ტერიტორია ცენტრი იყო მისი ბუნებრივი რესურსებიდან და სატრანზიტო ფუნქციიდან გამომდინარე. თეორიის მიხედვით დანარჩენი ევრაზია იყო ერთგვარი შიდა ნახევარმთვარე, ხოლო ამერიკის ორივე კონტინენტი და ავსტრალია იყო გარე ნახევარმთვარე. მაკინდერმა განავითარა იდეა, რომ ვინც აკონტროლებს ჰარტლენდს აკონტროლებს მთელს ევრაზიას, ვინც აკონტროლებს ევრაზიას ის არის მსოფლიოს მმართველი, ანუ წამყვანი გეოპოლიტიკური ფიგურა

[2] იგულისხმება ის, რომ დიდი ბრიტანეთი და იაპონია იყვნენ ევრაზიასთან ახლოს, თუმცა მაინც, ისინი არ იყვნენ სახმელეთო გზით დაკავშირებული სუპერკონტინენტთან.

საერთაშორისო სისტემაში. მაკინდერის ჰართლენდის თეორიას ეთანხმება ერთ-ერთი რესპონდენტი, „აბრეშუმის გზის ასოციაციის“ თანადამფუძნებელი, ბატონი ზურაბ მაღრაძე. მისი აზრით საქართველო ისტორიული და გეოგრაფიული მიზეზების გათვალისწინებით, არის ის ქვეყანა, რომელზე კონტროლიც აღმოსავლეთ ევროპასა და ჰართლენდზე კონტროლს ნიშნავს, ბატონი ზურაბის აზრით საქართველოს როლი კარგად ესმის დასავლეთსაც და რუსეთსაც, თუმცა თავად საქართველო ჯერ კიდევ ვერ აფასებს საკუთარ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასა და როლს.

აღსანიშნავია, რომ მაკინდერის თეორიას ითვალისინებდა ითვალისწინებდა მესამე რაიხიცა და მეორე ომის შემდგომ უკვე მსოფლიოს ახალი ჰეგემონი აშშ-ც. სწორედ ამ თეორიის გათვალისწინებით აშშ დაუშვებლად მიიჩნევდა, რომ ევრაზიაზე კონტროლი რუსეთს აეღო, ამის საპირისპიროდ დასავლურმა სამყარომ დააფუძნა ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია და ევროკავშირიც.

ახლა რაც შეეხება საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას. საქართველო ევრაზიის შუაგულია, ზუსტად ცენტრია და შესაბამისად იგი ყოველთვის იყო ცივილიზაციათა შეხვედრისა და გადაკვეთის ადგილი. საქართველოს აღნიშნული გეოპოლიტიკური სტატუსი განსაზღვრავს მის ადგილს გლობალურ და რეგიონულ არენაზე. საქართველო ობიექტურადაა გეოპოლიტიკური ხიდი აზიას, აღმოსავლეთ ევროპას,ანატოლიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის. საქართველოს ტრანზიტული მდებარეობა გავლენას ახდენს როგორც ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სამხედრო პროცესებზე პლანეტის ამ ნაწილსა და მსოფლიოშიც კი. მიუხედავად პატარა ფართობისა ქვეყანას გააჩნია ზღვაზე გასასვლელი და მნიშვნელოვანი სატრანზიტო, მათ შორის საზღვაო დერეფანი, ტერიტორიულ ზღვაში არსებული ენერგორესურსებიც, რომელიც ჯერ კიდევ არაა ათვისებული. სატრანზიტო დერეფნების საკმარისი სიმძლავრის ამოქმედებით ქვეყანა არამარტო მიიღებს დამატებით ფინანსურ შემოსავლებს, არამედ გავლენას მოახდენს გლობალურ და რეგიონულ პროცესებზეც, თანაც ისე, რომ თავად იქნება ერთ-ერთი მთავარი მონაწილე გლობალურ სისტემაში. აღნიშნული მოსაზრების განსამტკიცებლად მოვიყვან ერთ-ერთი რესპონდენტის, „ჰარმონიული გლობალიზაციისა და მართვის ინსტიტუტის“ დირექტორის, ბატონი თეიმურაზ ზაქრაძის მოსაზრებას. ბატონი თეიმურაზის აზრით საქართველო მისი

მდებარეობიდან გამომდინარე ვერ აუქცევს გვერდს გლობალურ პროცესებს და უმჯობესი იქნება საქართველომ გადადგას აუცილებელი ნაბიჯები მალევე და გადავიდეს სრულად საბაზრო ეკონომიკაზე, რადგან თავად საქართველო უნდა გახდეს ჰარმონიული გლობალიზაციის ცენტრი. იგივე მოსაზრება აქვს „აბრეშუმის გზის ასოციაციის“ ერთ-ერთ თანადამფუძნებელს, ბატონ ზურაბ მაღრაძესაც. პირადად მე სრულიად ვიზიარებ ზემოთხსენებულ მოსაზრებას, საქართველოს მდებარეობიდან გამომდინარე ქვეყანა გლობალურ თუ რეგიონალურ პროცესებს ობიექტურად ვერ ჩამორჩება. რომ შევაჯამოთ, ფართო გაგებით საქართველოს ტერიტორია თავადაა სასაზღვრო არეალი, რომელშიც შეიძლება გაერთიანდეს გლობალურ/რეგიონალური, ისტორიული პროცესებიც კი.

გეოპოლიტიკის და გეოპოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვის შემდეგ, დროა მიმოხილულ იქნას გეოსტრატეგიის მნიშვნელობა და საქართველოს გეოსტრატეგია. გეოსტრატეგია ეს არის გეოპოლიტიკის ქვედარგი, გეოსტრატეგია ისევე როგორც გეოპოლიტიკა, აიხსნება გეოგრაფიული ასპექტებით და გადაჯაჭვულია გეოგრაფიულ ფაქტორებთან. აღსანიშნავია, რომ გეოსტრატეგია მხარს უჭერს ისეთ საგარეო პოლიტიკას, რომელიც დაფუძნებულია გეოპგრაფიულ და ისტორიულ ფაქტორებზე, ამასთანავე გეოსტრატეგია წმინდათ დაფუძნებულია სტრატეგიაზე და აერთიანებს გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ ფაქტორებს. გეოსტრატეგია გულისხმობს გეოგრაფიული ასპექტების გარდა საგარეო პოლიტიკაში სამხედრო და ეკონომიკური ძალისხმევის მიმართვას ეროვნული მიზნების მისაღწევად.

საქართველოს გეოსტრატეგიაში უნდა მოვიაზროთ ქვეყნის ადგილი მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე და ის შესაძლებლობები, რომელიც გააჩნია ქვეყანას სამხედრო(მათ-შორის სამხედრო სამრეწველო კომპლექსის) მშენებლობის და ფართომასშტაბიანი ღონისძიებების მხრივ ომის შემთხვევაში ქვეყნის შეიარაღებული დაცვისთვის. თუ გეოპოლიტიკა განასახიერებს ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას და სახელმწიფოს პოლიტიკას/ინტერესებს გეოსტრატეგია გეოპოლიტიკურ მდებარეობას და ქვეყნის კონკრეტულ სტრატეგიას ნიშნავს.

საქართველოსთვის ამ მხრივ გამოიყოფა შემდგომი მახასიათებლები:

1) საქართველო ევრაზიის კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, ეს კი მოითხოვს გაძლიერებულ ყურადღებას სამხედრო-პოლიტიკური პროცესებისთვის როგორც ევროპაში,ისე აზიასა და ახლო აღმოსავლეთში,საქართველოს სამხედრო პოლიტიკის შესაბამისი ადაპტაციით, ამით კი პირდაპირ აიხსნება საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში წევრობის მნიშვნელობა.

2) საქართველო მდებარეობს უმნიშვნელოვანეს ტრანსნაციონალურ საჰაერო,საზღვაო და სახმელეთო მაგისტრალებზე, რომლის დამახასიათებელი ფუნქციონირებითაც დამოკიდებულია რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე საკუთრივ სამხედრო მოქმედებების წარმოების პროცესიც.

შავ ზღვაზე, რომლის გავლითაც გადის უმოკლესი საზღვაო კომუნიკაციები უკრაინის,რუმინეთის და ბულგარეთის პორტებისკენ და შემდგომში სახმელეთო გზები ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისკენ,საქართველოს მხოლოდ ორი მსხვილი პორტი აქვს-ბათუმისა და ფოთის. ეს კი ცხადყოფს რომ დღევანდელ ვითარებაში ისინი ვერ უზრუნველყოფენ სრულად საქართველოს ინტერესებს შავ ზღვაზე.

შეიარაღებული კონფლიქტები და დაძაბულობა საქართველოს საზღვრებთან ახლოს შეუძლებელია სახელმწიფოზე არ აისახებოდეს საქართველოზე, ეს პოტენციური საფრთხეა ქვეყნისთვის სამხედრო თვალსაზრისით, რადგან პოტენციურად საშიშ ზონაში ხვდება მისი სასაზღვრო რეგიონები, ახალი ესკალაციით და ძველი კონფლიქტების გაღვივებით ხდება სამხედრო მშენებლობის მთელი სისტემის ცვლილება, იცვლება შეიარაღებული ძალების მომზადების გეგმები, რომელიც მნიშვნელოვან ფინანსებს და ძალისხმევას მოითხოვს. მოწმდება საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური რეაქციაც სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით კი რუსეთის მიერ და აქედან გამომდინარე უბრალოდ არ გვაქვს უფლება გვყავდეს სუსტი ჯარი ან გვქონდეს სუსტი და იზოლაციონიზმზე დამყარებული საგარეო პოლიტიკა.

გლობალური და რეგიონული ხასიათის რადიკალურმა ცვლილებებმა საქართველოს წაართვა გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული უპირატესობები: საბჭოთა რეჟიმის კრახის შემდეგ რუსეთის უშუალო მონაწილეობით გაჩნდა ორი ოკუპირებული რეგიონი,

რომლებიც რუსეთის სამხედრო ბასტიონს წარმოადგენენ საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს შიგნით. აღსანიშნავია, რომ შემცირდა საზღვაო ძალების და საბრძოლო ავიაციის გამოყენების არეალიც, ასევე ბოლო პერიოდში მოსკოვი-თეირანის ღერძის შექმნამ და შეერთებული შტატების მიერ დროებით პოზიციების დათმობამ ახლო აღმოსავლეთში უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს გეოსტრატეგიაზე.

საქართველოს მცირე, თუმცა სტრატეგიული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს გზაგასაყარზე მდებარეობა და ამასთანავე ზღვაზე გასასვლელი ქვეყანას საშუალებას აძლევს მოახდინოს გავლენა რეგიონულ და გლობალურ პროცესებზე, მაგრამ ამისთვის საჭიროა სამრეწველი-სამეცნიერო პოტენციალის და რესურსების ათვისება, სატრანზიტო როლისა და ზღვაზე გასასვლელის გამოყენება, მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გადაიქცეს საქართველო რეგიონალურ-გლობალური სათამაშოდან, რეგიონალურ-გლობალურ მოთამაშედ, სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი მეტი მხარდაჭერა მიიღოს საქართველომ ევროკავშირისგან და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ბევრი რამ იყო და არის დამოკიდებული რეფორმებზე.

2.2. დასავლეთის მოზომილი პოლიტიკა vs რუსეთის აგრესიული პოლიტიკა: დასავლეთისა და რუსეთის პოლიტიკის ახსნა ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიით

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გეოსტრატეგია და საგარეო პოლიტიკური კურსი პირდაპირ მიმართულია ქვეყნის ევროპულ და ჩრდილო ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისკენ, საქართველო წარმოადგენს საერთაშორისო სისტემაში შემავალ სახელმწიფოს და საქართველოს მიზნებსა და საგარეო პოლიტიკაზე ამ უკანასკნელს უდიდესი გავლენა აქვს. როდესაც საკითხი ეხება ევროპულ და ჩრდილო ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროკავშირიცა და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაც მულტილატერალურია, რაც ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი სერიოზული

გადაწყვეტილება მიიღება საყოველთაო კონსენსუსზე დაყრდნობით. კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკა ითვალისწინებს ევროკავშირისა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის შემთხვევაშიც ყველა წევრი სახელმწიფოს პოზიციას. ზემოთხსენებულიდან გამომდინარე საქართველოს და ზოგადად ნებისმიერი სხვა ქვეყნის ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევირანება მოითხოვს ერთსულოვან ნებას წევრი ქვეყნების მხრიდან.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ევროკავშირში არიან ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის მიმართ სკეპტიკოსი ქვეყნები. გაფართოების პოლიტიკისადმი ყველაზე დიდი სკეპტიციზმით გამოირჩევიან გერმანია და საფრანგეთი, მათი ეს პოზიცია კი კიდევ უფრო მყარია როდესაც საქმე ეხება ისეთ ქვეყნებს, რომელთა ტერიტორიებიც რუსეთის მიერაა ოკუპირებული (ვგულისხმობ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას). ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის შემთხვევაშიც, გაფართოების პოლიტიკისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ისევ გერმანიასა და საფრანგეთს. 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმის, ე.წ MAP-ის მინიჭების წინააღმდეგ სწორედ გერმანია და საფრანგეთი წავიდნენ.

ვფიქრობ, გერმანიისა და საფრანგეთის პოლიტიკის ახნა შესაძლებელია ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიით. თეორიული ჩარჩოს ნაწილში უკვე განვიხილე თუ რას გულისხმობს ნეოკლასიკური რეალიზმი და რით განსხვავდება იგი რეალიზმის სხვა სკოლებისგან, თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ნეოკლასიკური რეალიზმი ერთგვარი შერწყმაა კლასიკური რეალიზმისა და ნეო რეალიზმის (განსაკუთრებით თავდაცვითი, თუმცა შემტევი რეალიზმისაც). ნეოკლასიკური რეალიზმის მიხედვით საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა დამოკიდებულია გარკვეულ ცვლადებზე, რომლებიცაა: ინტერვენციული სისტემური ცვლადები, კოგნიტური ცვლადები და საშინაო ცვლადები. სახელმწიფო პოლიტიკა იქნება თავდაცვითი თუ შეტევითი, დამოკიდებულია ჩამოთვლილ სამ ძირითად ცვლადზე.

2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ე.წ MAP-ის მინიჭების თაობაზე გერმანიისა და საფრანგეთის

უარყოფითი პოზიცია იყო თავდაცვითი რეალიზმის აშკარა გამოხატულება, თუმცა ამასთანავე ის ფაქტი, რომ გერმანიაც და საფრანგეთიც სკეპტიკური პოზიციებისდა მიუხედავად მაინც თანამშრომლობენ საქართველოსთან ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში, ადასტურებს სწორედ იმას, რომ მათ აქვთ ინტერესები საქართველოსთან მიმართებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გერმანიის (და ზოგადად ევროკავშირის) რუსულ ენერგო რესურსებზე დამოკიდებულება საკმაოდ მაღალია და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ევროპაში აშშ-დიდი ბრიტანეთის გავლენის დაბალანსება საფრანგეთს სწორედ რუსეთთან მეტი თანამშრომლობით წარმოედგინა, ასევე თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გერმანისაც და საფრანგეთსაც მიაჩნდათ, რომ რუსეთთან კომპრომისზე დაფუძნებული ურთიერთობა უფრო გაამართლებდა, მაშინ ადვილად გასაგებია თუ რატომ არ დაუჭირეს მხარი საქართველოსთვის MAP-ის მინიჭებას, ცხადია, რომ არც გერმანიას და არც საფრანგეთს არ სურდათ „სარისკო ნაბიჯების“ გადადგმა. გერმანია-საფრანგეთის, განსაკუთრებით კი გერმანიის პოზიციასთან დაკავშირებით საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დანიის სამეფოსა და ისლანდიაში, ბატონი გიგი გიგიაძე სიღრმისეულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ საქართველოსთვის MAP-ის არ მინიჭებასთან არსებულ გერმანულ-ფრანგულ პოლიტიკას გერმანელი ექსპერტები და ოფიციალური პირები ამართლებნენ იმით, რომ MAP-ის მიცემით საქართველო მაინც ვერ მიიღებდა უსაფრთხოების გარანტიებს ანუ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მე-5 მუხლს, ეს კი ნიშნავდა იმას, რომ რუსეთის მხირდან აგრესიის შემთხვევაში ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი არ იქნებოდა ვალდებული სამხედრო გზით დახმარებოდა საქართველოს და საბოლოოდ ეს ალიანსის პრესტიჟზეც უარყოფითად აისახებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის კოლექტიური თავდაცვის პასუხისმგებლობა MAP-ის მქონე ქვეყნებზე არ ვრცელდება. რაც შეეხება რუსეთის პოლიტიკას, მისი პოზიციები და აგრესიული პოლიტიკა კარგად აიხსნება შეტევითი რეალიზმით. რუსეთმა კარგად იცის საქართველოს გეოგრაფიულად ხელსაყრელი და სტრატეგიული მნიშვნელობა, მისი სატრანზიტო ფუნქციები და საქართველოს რეგიონალური თუ გლობალური როლი, შესაბამისად დასავლეთისგან, კერძოდ კი გერმანია-საფრანგეთისგან განსხვავებით რუსეთი საკუთარი სუვერენიტეტისა და გავლენის

გაზრდას აგრესიული პოლიტიკით ცდილობს, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი პოლიტიკა საკმაოდ სარისკოა თავად რუსეთისთვისაც და ეს განსაკუთრებით აშკარა გახდა სწორედ 2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწებული ომით, რომელიც ამჟამად ისევ მიმდინარეობს და რომელსაც მოჰყვა საერთაშორისო რეაქცია და სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

თავი III. საქართველოს ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორები

3.1. საშინაო ფაქტორები: შესაბამისობა ევროპულ და ჩრდილო ატლანტიკურ სტანდარტებთან

როდესაც საქმე ეხება ევროპულ და ჩრდილო ატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრირებასა და გაწევრიანებას, აუცილებლად გასათვალისწინებელია თუ რამდენად შეესაბამება წევრობის მსურველი სახელმწიფო ევროკავშირისა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრობის კრიტერიუმებს.

დავიწყოთ ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების კრიტერიუმების განხილვით. ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის გაფართოების პოლიტიკა ეფუძნება ე.წ ღია კარისა და თავისუფალი არჩევანის პოლიტიკას. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრობა დამოკიდებულია წევრობის მსურველი ქვეყნის არჩევანზე, თუ გავითვალისწინებთ NDI-ს 2022 წლის ბოლო გამოკითხვის შედეგებს, ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას მოსახლეობის უმრავლესობა, კონკრეტულად კი 71% მტკიცედ უჭერს მხარს. (ამავე გამოკითხვის მიხედვით გამოკითხულთა 82% მხარს უჭერს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას). ამის მიუხედავად აუცილებელია წევრობის მსურველი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს მინიმალური დემოკრატიის სტანდარტებს, იზიარებდეს თავიუსფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, საკუთარ საზღვრებს გარეთ პატივს სცემდეს საერთაშორისოდ აღიარებულ საზრღვრებსა და მეზობლების სუვერენიტეტს და აღიარებდეს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს.

დემოკრატიის ინდექსის მიხედვით საქართველო ჰიბრიდულ რეჟიმებს მიეკუთვნება. ჰიბრიდული დემოკრატია გულისხმობს იმას, რომ ქვეყანაში არის ელექტორალური დემოკრატია, ანუ ტარდება არჩევნები, და მოქალაქეებს აქვთ როგორც აქტიური ისე პასიური[3] მონაწილეობის უფლება არჩევნებში. ჰიბრიდული დემოკრატიის დროს ოფიციალურად და ლეგალურად არსებობს ოპოზიცია და სისტემა მრავალპარტიულია.

[3] არჩევნებში აქტიური მონაწილეობა გულისხმობს საკუთარი არჩევანის დაფიქსირებას, ხოლო პასიური მონაწილეობა გულისმობს არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის წარდგენას.

ჰიბრიდული დემოკრატია ხასიათდება ნაკლები პოლიტიკური ჩართულობით და მოქალაქეების მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნაკლები ნდობით. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიის ინდექსით საქართველო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნებიდან ამჟამად მხოლოდ თურქეთს უსწრებს.

ახლა განვიხილოთ საბაზრო ეკონომიკასთან საქართველოს თავსებადობა. საბაზრო ეკონომიკა ეყრდნობა კაპიტალიზმს და ლიბერალიზმის იდეოლოგიას, რაც გულისხმობს იმას, რომ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა უნდა იყოს მინიმალური. საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ნაცვლად რეგულატორად გვევლინება ადამ სმიტის „უჩინარი ხელი“ ანუ თავად ბაზარი. 2022 წლის ეკონომიკური თავიუსფლების ინდექსის მიხედვით საქართველო მსოფლიოში 26-ე ადგილზეა, აღნიშნული შედეგით საქართველო უსწრებს ნატოს შემდეგ წევრ სახელმწიფოებს: ბულგარეთს, პორტუგალიას, სლოვენიას, სლოვაკეთს, ბელგიას, პოლონეთს, ესპანეთს, ხორვატიას, რუმინეთს, უნგრეთს, ალბანეთს, საფრანგეთს, ჩრდილოეთ მაკედონიას, იტალიას, საბერძნეთს, მონტენეგროსა და თურქეთს.

საბაზრო ეკონომიკასთან შესაბამისობა განისაზღვრება იმითაც თუ რამდენად მარტივია ქვეყანაში ბიზნესის დარეგისტრირება და წამოწყება. მსოფლიო ბანკის 2019 წლის მონაცემებით საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით მსოფლიოში მე-7 ადგილზეა და მას ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მხოლოდ 2 სახელმწიფო უსწრებს, ესენია აშშ და დანია. აქვე მინდა აღვნიშნო სიღრმისეული ინტერვიუს მონაწილე რესპონდენტების, „ჰარმონიული გლობალიზაციისა და მართვის ინსტიტუტის“ დირექტორის, ბატონი თეიმურაზ ზაქრაძისა და „აბრეშუმის გზის ასოციაციის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ბატონი ზურაბ მაღრაძის მოსაზრებები საქართველოს საბაზრო ეკონომიკასთან თავსებადობის კუთხით. ბატონი თეიმურაზიცა და ბატონი ზურაბიც აღნიშნავენ, რომ საბაზრო ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში არსებობდეს ეროვნული ბანკისგან დამოუკიდებელი, კონკურენტული საფონდო ბირჟა, რაც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს მეტი ინვესტიციები მოიზიდოს და საკუთარი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული როლი რეგიონალურ და მსოფლიო დონეზე გაზარდოს, ხოლო ეს თავისთავად გამოიწვევს საქართველოს უფრო მეტად დაახლოებას ევროპულ და ჩრდილო ატლანტიკურ სტრუქტურებთან.

დემოკრატიასთან და საბაზრო ეკონომიკასთან თავსებადობის განხილვის შემდეგ დროა განვიხილოთ თუ რამდენად სცემს პატივს საქართველო საერთაშორისოდ აღიარებულ საზრღვრებსა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. საქართველო აღიარებს საერთაშორისო სამართალს და საერთაშორისო სამართლაზე დაფუძნებულ საერთაშორისო ურთიერთობებს, ამის ნათელი მაგალითია საქართველოს მშვიდობიანი მცდელობები, აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისოდ აღიარებულ საზრღვრებში. საქართველო ასევე პატივს სცემს მეზობელი სახელმწიოების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, თუმცა აღსანიშნავია, რომ დღემდე, საქართველოს მხოლოდ თურქეთთან აქვს ოფიციალურად დადგენილი საზღვარი. აუცილებლად მიმაჩნია ნატოს ერთ-ერთი სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი პარტნიორის, თურქეთის მაგალითის სახით მოყვანა. თურქეთს 1974 წლიდან ოკუპირებული აქვს საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფოს, კვიპროსის ჩრდილოეთი ნაწილი, საიდანაც მან განახორციელა ბერძენთა ეთნოწმენდა, საგულისხმოა, რომ ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია თურქეთისთვის, მიეღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი 1999 წელს.

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში წევრობისთვის საჭირო კრიტერიუმები და საქართველოს თავსებადობა კრიტერიუმებთან, დროა განვიხილოთ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის აუცილებელი კრიტერიუმები და საქართველოს თავსებადობა მათთან.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისაგან განსხვავებით ევროკავშირთან დაახლოების მეტი შანსები წარმოშვა რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა. მანამდე, 2009 წელს შვედეთის სამეფოსა და პოლონეთის ინიციატივით შეიქმნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატი, რომელშიც გაწევრიანდა საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, სომხეთი და აზერბაიჯანი, აღნიშნული ფორმატი მიზნად ისახავდა რეგიონული გაფართოებისთვის 6 ქვეყნის მომზადებას, თუმცა ცხადი იყო რომ 6 ქვეყნიდან აშკარა და ოფიციალური სურვილი ევროკავშირში წევრობის მხოლოდ საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას ჰქონდა. 2021 წელს გონიოში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამმა წევრმა სახელმწიფომ, საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ ხელი მოაწერეს ასოცირებული ტრიოს შეთანხმებას. საქართველო

ოფიციალურ დონეზე აცხადებდა, რომ ევროკავშირს წევრობასთან დაკავშირებით 2024 წელს მიმართავდა, თუმცა უკრაინისთვის კანდიდატის სტატუსის დაჩქარებული წესით მოპოვების შესაძლებლობამ და ქართული სამოქალაქო საზოგადოების დაჟინებულმა მოთხოვნამ საქართველოს ხელისუფლებისადმი, საქართველოსაც გაუჩინა ამგვარი შანსი. 2022 წლის 10 მაისს საქართველოს პრემიერ მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ევროკავშირის ელჩს, კარლ ჰარცელს პირადად გადასცა ევროკავსირის წევრობის შევსებული კითხვარის მეორე ნაწილი, თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ ევროკომისიის მიერ 17 ივნისს ოფიციალურ დონეზე გაჟღერებული პოზიცია არც ისე სახარბიელო აღმოჩნდა. ევროკომისიამ რეკომენდაცია გასცა უკრაინისა და მოლდოვისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე, თუმცა საქართველოს მხოლოდ ევროპული პერსპექტივა მიენიჭა და კანდიდატის სტატუსისთვის წინაპირობების დაკმაყოფილება დაევალა. ევროკავშირის სტატუსის მისაღებად საქართველომ ევროკომისიის მიერ ოფიციალურად გაცემული წინაპირობები უნდა შეასრულოს, წინაპირობების ჩამონათვალი ასეთია:

1) პოლიტიკური პოლარიზაციის აღმოფხვრა.
2) სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულად ფუნქციონირება და დამოუკიდებლობა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება ეუთო/ოდირის და ევროპის საბჭოსა და ვენეციის კომისისს რეკომენდაციების გათვალისწინება.
3) დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლო
4) ანტიკორუფციული სააგენტოს გაძლიერება და ელიტური კორუფციის ეფექტური გამოძიება, პირადი მონაცემების გამოძიებისა და დაცვის სამსახურების გაძლიერება და დამოუკიდებლობა.[4]
5) დეოლიგარქიზაცია
6) ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ეფექტური და გამჭვირვალე გამოძიება.
7) თავისუფალი და პლურალისტური მედიაგარემოს შექმნა და ჟურნალისტებზე ძალადობის დროული და ეფექტური გამოძიების ვალდებულება.

[4] საერთაშორისო ორგანიზაცია Transparency International-ის 2021 წლის მონაცემებით საქართველო კორუფციის აღქმის ინდექსით მსოფლიოში 45-ე ადგილზეა და უსწრებს ევროკავშირის წევრ 9 სახელმწიფოს, ევროკავშირის ყველა კანდიდატს, ასევე ასოცირებული ტრიოდან უკრანას და მოლდოვას. ხოლო შვეიცარიული Global Risk Profile-ის 2021 წლის გლობალაური კორუფციის ინდექსით საქართველო 41-ე ადგილზეა.

8) ადამიანის უფლებებისა და მოწყვლადი ჯგუფების დაცვა და გაძლიერება
9) გენდერული თანასწორობა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან ბრძოლა
10) სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ყველა დონეზე.
11) ისეთი კანონების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ქართველმა მოსამართლეებმა პრაქტიკაში გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენები და შეფასებები.
12) ახალი სახალხო დამცველის გამჭვირვალე გარემოში დანიშვნა, რომელიც იქნება დამოუკიდებელი და ზეგავლენისგან თავისუფალი.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისიის დასკვნა დიდწილად რეკომენდაციის ხასიათს ატარებს და რეალური გადაწყვეტილება იმის შესახებ, მიიღებს თუ არა საქართველო კანდიდატის სტატუსს, გადაწყდება 24 ივნისს ევროპული საბჭოს სხდომაზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერების მიერ, თუმცა თუ გავითვალისწინებთ ევროკომისიის დასკვნას, ვფიქრობ, 24 ივნისისთვის პოზიტიური შედეგების იმედი ნამდვილად არ უნდა გვქონდეს.

ზემოთ ჩამოთვლილი ევროკომისიის რეკომენდირებული 12 წინაპირობის გარდა, მნიშნველოვანია ვახსენოთ კოპენჰაგენის კრიტერიუმი, რომელიც ევროკავშირში გასაწევრიანებლად ოფიციალური კრიტერიუმია. კოპენჰაგენის კრიტერიუმი მოიცავს გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საკანონმდებლო ასპექტებს.

აღსანიშნავია, რომ 1996 წლიდან საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება იყო პოლიტიკური დასტური, რომ საქართველო აკმაყოფილებდა გეოგრაფიულ კრიტერიუმს. რაც შეეხება დანარჩენ კრიტერიუმებს, ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში წევრობის კრიტერიუმების განხილვისას, უკვე გაანალიზდა საქართველოს თავსებადობა საბაზრო ეკონომიკასთან. საქართველოს ეკონომიკური კრიტერიუმით სესაბამისობას აღიარებს ევროკომისიის 17 ივნისის დასკვნაც, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2014 წელს საქართველომ ასოცირებული წევრის სტატუსთან ერთად მიიღო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რითაც საქართველო კიდევ უფრო მეტად ინტეგრირდა ევროპულ ბაზართან და ევროპულ ეკონომიკაში. რაც შეეხება დარჩენილ ორ კრიტერიუმს, საკანონმდებლო თავსებადობასა და პოლიტიკურ კრიტერიუმს, ყველაზე

მეტად საქართველოს სწორედ ამ კრიტერიუმებთან თავსებადობაზე მუშაობა სჭირდება. საკანონმდებლო კუთხით საქართველომ ხელი მოაწერა და რატიფიცირება მოახდინა არაერთი ევროპული კანონმდებლობის და ამით ქართული კანონმდებლობა საკმაოდ დაუახლოვდა ევროკავშირის კანონმდებლობას.

და ბოლოს, განვიხილოთ საქართველოს პოლიტიკური თავსებადობა კოპენჰაგენის კრიტერიუმებთან. პოლიტიკურ კრიტერიუმებში გამოყოფილია შემდეგი ქვეთავები, ესენია: დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, უმცირესობების დაცვა და პატივისცემა. საქართველო დემოკრატიის ინდექსით ჯერ კიდევ ჰიბრიდულ რეჟიმებს მიეკუთვნება.

რაც შეეხება კანონის უზენაესობას, World Justice Projcet-ის კანონის უზენაესობის 2021 წლის ინდექსით საქართველო მსოფლიოს შესწავლილი 139 ქვეყნიდან 49-ე ადგილზეა და ევროკავშირის 2 წევრ სახელმწიფოს, ბულგარეთსა(62-ე ადგილი) და უნგრეთს(69-ე ადგილი) უსწრებს, აღსანიშნავია, რომ საქართველო აღნიშნული ინდექსით უსწრებს ევროკავშირის ყველა კანდიდატ ქვეყანას: ჩრდილოეთ მაკედონიას(64-ე ადგილი), სერბეთს(81-ე ადგილი), ალბანეთს(83-ე ადგილი) და თურქეთს(117-ე ადგილი). საქართველო აღნიშნული ინდექსით ასევე უსწრებს ასოცირებული ტრიოს წევრ მოლდოვას(73-ე ადგილი) და უკრაინას(74-ე ადგილი).

ადამიანის უფლებების დაცვისა და ნაწილობრივ რელიგიური უმცირესობების დაცვის მხრივ საქართველოს მდგომარეობა შესაძლებელია შეფასდეს Fraser Institute-ის ადამიანის თავისუფლების ინდექსით. 2021 წლის მონაცემებით ადამიანის თავისუფლების ინდექსით საქართველო მე-40 ადგილზეა და ევროკავშირის შემდეგ ქვეყნებს უსწრებს: ხორვატიას, ბულგარეთს, პოლონეთს, საბერძნეთს და უნგრეთს. ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნებიდან კი საქართველო უსწრებს ყველა ქვეყანას, იგივე ითქმის ასოცირებული ტრიოს შემთხვევაშიც, საქართველოს აქვს უკრაინაზე და მოლდოვაზე ბევრად უკეთესი მაჩვენებელი.

გასულ წელს საქართველოში 5 ივლისს განვითარებული მძიმე მოვლენების შემდეგ საინტერესოა თუ რა მდგომარეობაა საქართველოში სექსუალური უმცირესობების უფლებების ზოგადი მდგომარეობის კუთხით. აღნიშნულის გასარკვევად გამოვიყენებ

ILGA-EUROPE Rainbow Map-ს. 2022 წლის მონაცემებით საქართველოში LGBTI თემის უფლებები 100%-დან 25%-ით არის დაცული, თუმცა საქართველო ამ მონაცემებით მაინც უსწრებს ევროკავშირის შემდეგ ქვეყნებს: პოლონეთს(13%), რუმინეთს(18%), ბულგარეთს(18%), ლატვიას(22%) და ლიეტუვას(24%). საგულისხმოა, რომ იტალიის მდგომარეობა შეფასებულია საქართველოს მსგავსად 25%-ით. საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნებიდან LGBTI თემის მდგომარეობით სჯობს თურქეთს(4%), ხოლო ასოცირებული ტრიოდან უკრაინასა(19%) და მოლდოვაზე(21%) უკეთესი მდგომარეობა აქვს. უნდა ითქვას ისიც, რომ იგივე ორგანიზაციის 2021 წლის მონაცემებით საქართველოს მდგომარეობა შეფასებული იყო 27%-ით, დიდი ალბათობით 2%-იანი ვარდნა დიდწილად გამოიწვია სწორედ 5 ივლისს განვითარებულმა მოვლენებმა და ჟურნალისტების მიმართ გამოჩენილმა განსაკუთრებულმა აგრესიამ, რასაც მოჰყვა ერთ-ერთი ჟურნალისტის, ლექსო ლაშქარავას ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება და შემდგომ გარდაცვალება, ამ სამწუხარო ფაქტის მიუხედავად მეტი ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ მსგავს ინციდენტს 2021 წელს ადგილი ჰქონდა ესპანეთშიც. საქართველოში უსაფრთხოების ხარისხის გასაანალიზებლად აუცილებელია გავეცნოთ NUMBEO-ს უსაფრთხოების შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც 2022 წელს საქართველო უსაფრთხოების მხრივ მსოფლიოში მე-14 ადგილზეა და მას ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან უსწრებენ მხოლოდ ხორვატია(მე-13 ადგილი), ესტონეთი(მე-12 ადგილი) და სლოვენია(მე-10 ადგილზე). გამომდინარე იქიდან, რომ 2021 წლის 5 ივლისის მოვლენების დროს ყველაზე მეტად მედიის წარმომადგენლები დაზარალდნენ, კარგი იქნება თუ გავეცნობით საქართველოში მედიის თავისუფლების ხარისხს. Reporters Without Borders-ის 2022 წლის კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ 2021 წელთან შედარებით საქართველოს პოზიცია მკვეთრად გაუარესდა და მე-60 ადგილზე მყოფი ქვეყანა 2022 წელს 89-ე ადგილზეა, მაგრამ ამჟამინდელი მონაცემებით საქართველო მაინც უსწრებს ევროკავშირის წევრ ბულგარეთს (91-ე ადგილი) და საბერძნეთს (108-ე ადგილი), ხოლო ევროკავშირის კანდიდატ ალბანეთსა (103- ადგილი) და თურქეთს (149-ე ადგილი).

3.2. საგარეო ფაქტორები: ქართულ პოლიტიკაში „სწორ დროს, სწორ ადგილას“ სტრატეგიის ნაკლებობა და რუსული ოკუპაცია - უმთავრესი დამაბრკოლებელი ფაქტორი

წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში უკვე აღინიშნა თუ რა საგარეო ვექტორი აიღცია პოსტ-საბჭოთა საქართველომ და რა ობიექტური მიზეზების გამო. საქართველოს, რომ ევროკავშირსა და ჩრდილო ალტანტიკურ ალიანსში გაწევრიანება სურს, ეს 1995 წლის 24 აგვისტოდან, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდიდანაა ასახული საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლში.

„მუხლი 78. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია- კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.“

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა მხოლოდ სურვილი არაა საკმარისი, სურვილს თან უნდა ახლდეს შესაბამისი ნაბიჯები, მესამე თავის პირველ ქვეთავში განხილულ და გაანალიზებულ იქნა საქართველოს შესაბამისობა ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ კრიტერიუმებთან და შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველო შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნატოს წევრობას და ევროკავშირის სულ მცირე კანდიდატის სტატუსს მაინც იმსახურებს, აქვე კიდევ ერთხელ მოვიყვან თურქეთის მაგალითს, ქვეყანა რომელსაც 1974 წლიდან ოკუპირებული აქვს საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფოს, კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილი, ხელი არ შეშლია 1999 წელს მიეღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, თუმცა იმ პირობით, რომ ის ოკუპაციას დაასრულებდა. დღემდე კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილი ოკუპირებულია და თურქეთი კვლავაც უბრალოდ კანდიდატ სახელმწიფოდ რჩება. ჩემი აზრით ევროკავშირმა გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მოცემულობიდან გამომდინარე უნდა გადადგას სწორი ნაბიჯი და მიანიჭოს საქართველოს კანდიდატის სტატუსი, წინააღმდეგ შემთხვევაში არის დიდი ალბათობა იმისა, რომ ეს შეცდომა იქნება 2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტზე დაშვებული შეცდომის მსგავსი. ის, რომ 2008 წელს ჩვენმა

დასავლელმა პარტნიორებმა დაუშვეს დიდი შეცდომა, ამას თავადაც აღიარებენ, შეცდომის აღიარება, რა თქმა უნდა, ღირსეული და სწორი ნაბიჯია, თუმცა ვფიქრობ, რომ აღიარებას თან შეცდომის გამოსწორებაც უნდა მოჰყვეს. სიღრმისეულ ინტერვიუში დანიის სამეფოსა და ისლანდიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ბატონი გიგი გიგიაძე აღნიშნავს, რომ დასავლეთმა სიფრთხილის პლიტიკით, რომ არ მიეღო საქართველო რუსეთის მიერ შექმნილი ხელოვნური კონფლიქტებით, რეალურად რუსეთის მიერ გათვლილი სტრატეგია გაამართლა და რუსეთს ერთგვარი სტიმული მისცა, რომ შემდგომში უკრაინაშიც იგივე სცენარით ემოქმედა და შეეჩერებინა ქვეყნის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია. ბატონი გიგი ასევე აღნიშნავს, რომ ამგვარი პოლიტიკის გამო, პირველ რიგში სწორედ გერმანია უნდა იქნეს გაკრიტიკებული და გერმანიას მუდმივად უნდა შეახსენონ პარტნიორებმა თუ რა სიტუაციასა და მდგომარეობაში გახდა იგი ნატოსა და ევროკავშირის წევრი.

სამწუხაროდ, ბოლოდროინდელი განცხადებები პოზიტიური მოლოდინების საფუძველს არ იძლევა, მაგალითისთვის გამოდგება მაკრონის მიერ 2022 წლის 16 ივნისს უკრაინაში გაკეთებული გაკეთებული განცხადება. მაკრონმა პირდაპირ აღნიშნა, რომ მოლდოვასა და უკრაინისგან განსხვავებით საქართველო უსაფრთხოების, გეოპოლიტიკისა და გეოგრაფიული გაქტორების გათვალისწინებით სხვა სიტუაციაში, და მან სამწუხაროდ საქართველო ისეთ ქვეყნებთან დააჯგუფა, რომლებსაც არ აქვთ გაცხადებული სურვილი გახდნენ ევროკავშირის წევრები (ვგულისხმობ აზერბაიჯანსა და სომხეთს). მაკრონის განცხადების ფონზე, აუცილებლად უნდა მოვიყვანო მაგალითად უნგრეთის პრეზიდენტის, ვიქტორ ორბანის პოზიცია, მან აღნიშნა, რომ მხარს უჭერს უკრაინისა და მოლდოვასთვის კანდიდატის სტატუსების მინიჭებას, თუმცა მისი აზრით იგივე უნდა მოხდეს საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას შემთხვევაშიც. სხვათაშორის ეს ის ორბანია, პრო-რუს პრეზიდენტად რომ იყო გამოცხადებული ევროპაში, თუმცა თუ მის პოზიციებს შევადარებთ მაკრონისას ან შოლცისას, ანდაც დრაგისას, მაშინ სამივე უფრო მეტად პრო-რუსი გამოდის ვიდრე ორბანი. ეს სწორედ ის ორბანია, რომელიც რუსეთიდან ენერგო რესურსების იმპრტის შეწყვეტაზე უარის გამო კრიტიკის სამიზნე გახდა, მაში, როცა თავად ევროკავშირმა

უკრაინაში ომის დაწყების დღიდან 100 დღეში რუსეთისგან თითქმის 100 მილიარდი დოლარის ენერგო რესურსები შეიძინა.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ქართულ პოლიტიკაში „სწორ დროს, სწორ ადგილას“ სტრატეგიის ნაკლებობა. სიღრმისეულ ინტერვიუში ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტმა, ბატონმა გიორგი ლაბაძემ აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ ქართულ პოლიტიკურ ელიტებს პრობლემა აქვთ სიტუაციის შესაბამისი პოლიტიკის არჩევის კუთხით. ბატონი გიორგის აზრით დასავლეთის პოლიტიკა ბევრად უფრო განსხვავებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლის პირველ ათწლეულში და ის ნაკლებად ინტერესდებოდა ე.წ რუსეთის გავლენის სფეროებთან სერიოზული სტრატეგიული ურთიერთობებით, ბატონი გიორგი მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნებოდა საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას აფხაზეთში ომამდე მიეღო გადაწყვეტილება გამხდარიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრი, რადგან ეს მოგვიანებით მაინც მოხდა, თუმცა უკვე დაგვიანებული იყო. ბატონი გიორგის აზრით იგივე პრობლემაა ახლაც, რადგან უკრაინის ომმა აშშ-ს ისტორიაში მეორედ მიაღებინა „ლენდ-ლიზის აქტი“ და ამ დიდ შესაძლებლობაზე წვდომის თხოვნა არა მხოლოდ უკრაინას არამედ რუსეთისგან დაზარალებულ ყველა ქვეყანას აქვს, თუმცა ახლა პრობლემა საქართველოს პოლიტიკურ ელიტაშია, რომელსაც გამედაობა აკლია სწორი და საჭირო ნაბიჯების გადასადგმელად.

სიღრმისეულ ინტერვიუში კონფლიქტოლოგი გიორგი კანაშვილი აღნიშნავს, რომ შეცდომებს რა თქმა უნდა ორივე მხარე, ქართული და დასავლური მხარეც უშვებდა და უშვებს, თუმცა მისი აზრით დასავლელი პარტნიორები ნაკლებად სარისკო გზითა თუ უფრო გაბედული გზით ყოველთვის ცდილობდნენ და ცდილობენ საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენას, შესაბამისად არსებულ რეალობაზე უმეტესი წილი პასუხისმგებლობისა მაინც საქართველოს წინა და ამჟამინდელ ხელისუფლებებზეა.

აღნიშნულ პოზიციებს ვეთანხმები და თანაც დავამატებდი, რომ საქართველოს ნებისმიერმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა იმუშაობს ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებაზე, განსაკუთრებით ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის წამყვან ქვეყნებთან, ფაქტი, რომ მულტილატერალურ სტრუქტურებში ჩვენს წევრობას ერთსულოვანი მხარდაჭერა სჭირდება, საკმარისი მიზეზია იმისთვის,

რომ საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლება უნდა ცდილობდეს სერიოზული ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებას ცალკეულ სახელმწიფოებთან, ეს პირდაპირ გაზრდის შანსებს, რომ ისეთმა სკეპტიკოსმა ქვეყნებმაც კი, როგორიც გერმანია და საფრანგეთია, შესაძლოა საჩვენოდ შეიცვალონ პოზიცია, თუ მათთვის საქართველოსთან ურთიერთობები იქნება იმაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი ვიდრე დღესაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საერთაშორისო სისტემაში მოქმედი ყველა სახელმწიფო საკუთარი ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობს და ინტერესებს ხშირად გადაწონის ხოლმე უბრალოდ „მორალურად გამართლებულ“ პოზიციებს. სხვათაშორის საქართველოს ნატოში გაწევრიანების მხრივ აქვს ძალიან უცნაური შანსი, მას შემდეგ, რაც ფინეთმა და შვედეთმა ოფიციალურად შეიტანეს განაცხადი ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებაზე, გამოიკვეთა თურქეთის წინააღმდეგობრივი პოზიცია. თურქეთი არ აპირებს მხარი დაუჭიროს ფინეთისა და შვედეთის ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას, თუ ზემოთხსენებული ორი ქვეყანა არ შეიცვლის პოზიციას ქურთების კომუნისტურ მუშათა პარტიასთან მიმართებით, რომელიც თურექთს ტერორისტულ და ანტი-თურქულ მოძრაობად ჰყავს გამოცხადებული. საქართველოსთვის შანსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საქართველო და თურქეთი სტრატეგიული პარტნიორები და მეზობელი სახელმწიფოები არიან, ორივე სახელმწიფო შავი ზღვის რეგიონს მიეკუთვნება და ორივეს აქვს რეგიონში სტაბილურობისა და კეთილდღეობისაკენ მისწრაფებები, საქართველოს შეუძლია თურქეთს სთხოვოს, რომ ფინეთისა და შვედეთის წევრობისთვის მხარდაჭერის სანაცვლოდ ერთ-ერთი მოთხოვნა საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება იყოს, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, ამჟამინდელი ხელისუფლება ნაკლებად გამოირჩევა საჭირო დონის აქტიურობით, ამითომ 2022 წლის ივნისის ბოლოს, მადრიდის სამიტიდანაც არ უნდა ველოდოთ მაინცდამაინც დამაიმედებელ შედეგებს.

დასკვნა

თანამედროვე საქართველოსთვის ევროკავშირსა და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება უმნიშვნელოვანესია ნაშრომში მოყვანილი ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს დასავლური არჩევანის სიცოცხლისუნარიანობა და წარმატება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე.

კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოს ევროპული და ჩრდილო ატლანტიკური ინტეგრაციის პოლიტიკისა და პროცესის ობიექტურად შესწავლასა და შეფასებას კონტენტ ანალიზის, სიღრმისეული ინტერვიებისა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე. კვლევა ემსახურებოდა პასუხის გაცემას შემდეგ კითხვებზე:

1) რამდენად დიდ როლს თამაშობს საქართველოს გეოსტრატეგია ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში.

2) რამდენადაა დამოკიდებული საქართველოს გეოსტრატეგია და მისი ცვლილება საქართველოს საგარეო და საშინაო ფაქტორებზე.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და გეოსტრატეგიის მნიშვნელობა ევროპულ და ჩრდილო ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში, თუმცა ამასთანავე გამოიკვეთა ისიც, რომ საშინაო (ძირითადად იგულისხმება რეფორმები და ევრო და ჩრდილო-ატლანტიკურ სტანდარტებთან შესაბამისობა) და საგარეო ფაქტორები (ევროკავსირისა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მულტილატერალურობა, გერმანიისა და საფრანგეთის სკეპტიკური და ფრთხილი პოლიტიკა, კრემლის აგრესიული პოლიტიკა), დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდგომარეობასა და გეოსტრატეგიაზე. კველვამ, კონტენტ ანალზისა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე ცხადყო, რომ საქართველო დიდწილად მზადაა გაწევრიანდეს ევროპულ და ჩრდილო ატლანტიკურ სტრუქტურებში.

კვლევამ ცხადყო, რომ ევროკავშირსა და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და წინაღობებით სავსეა, განსაკუთრებით საქართველოსთვის მისი გეოგრაფიული, გეოსტრატეგიული და რუსული ოკუპაციის

ფაქტორის გათვალისწინებით, თუმცა „სწორ დროს, სწორ ადგილას“ სტრატეგიით შესაძლებელია ინტეგრაციის პროცესის კიდევ უფრო დაჩქარება და წევრობაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) კაკაჩია, კ. ბეტგერი, კ. ლებანიძე, ბ. პალმი ვ. და სარჯველაძე მ. (2019) *„ქართულ-გერმანული ურთიერთობები ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში- როგორ შევაჯეროთ მოლოდინები?“* პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი/ევროპის პოლიტიკის ინსტიტუტი. თბილისი

2) რუსთავი 2, (17.06.2022), *„"ძალიან ცუდი იქნება, რომ საქართველო ცალკე დავტოვოთ, საქართველო ისედაც დაზარალდა 2008 წელს ევროკავშირის სუსტი პოზიციის გამო, ეს აღარ უნდა გავიმეოროთ!"* - შვედეთის პარლამენტის ვიცესპიკერი“, (19.06.2022), https://rustavi2.ge/ka/news/231765

3) გაჩეჩილაძე, რ. (2017) *„საქართველო მსოფლიო კონტექსტში-xx და xxi საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები“*, (მეორე განახლებული გამოცემა), თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

4) საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (24/08/1995), *საქართველოს კონსტიტუცია* (786), საქართველოს პარლამენტის უწყებები, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

5) ტაბულა, (08.06.2022), *„რასმუსენი: პირველი შეცდომა 2008-ში დავუშვით, როცა საქართველო-უკრაინის ცხადი გზა არ დავსახეთ“* (15.06.2022), https://tabula.ge/ge/news/687280-rasmuseni-pirveli-shetsdoma-2008-shi-davushvit

6) ჯიმშერ რეხვიაშვილი (2009), “ *საქართველო დსთ-ს ოფიციალურადაც ტოვებს,“* მაისი, 2022, https://www.radiotavisupleba.ge/a/1801648.html

7) Bryan Pietsch and Ellen Francis, (14.06.2022), *“Russia made nearly $100B from fuel exports in war’s first 100 days, report says”* (15.06.2022), https://www.washingtonpost.com/world/2022/06/14/russia-fossil-fuel-revenue-ukraine-war/

8) Civil.ge (10/05/2022), *“Georgia Submits Part Two of EU Questionnaire”*, (11/05/2022), https://civil.ge/archives/489640

9) Civil.ge, (16/06/2022), *"EU Bid: Macron Disassociates Georgia From Moldova, Ukraine"*, (16/06/2022), https://civil.ge/archives/496363?fbclid=IwAR1CY8vqiEaPRGodjAdn-wqU0EtaORd1Favtdbf0AkRAr3p8wk7OHEJ61xk

10) Christensen, Thomas. *„Useful Adversaries: Grand Strategy, Domestic Mobilization, and Sino-American Conflict,"* 1947-1958 (Princeton: University Press, 1996)

11) David G. Haglund, (26.05.2022), *"North Atlantic Treaty Organization"*, (18.06.2022), https://www.britannica.com/topic/North-Atlantic-Treaty-Organization

12) European Commission, *"Accession criteria, European Commission - Enlargement - Accession criteria "* (June 2022), https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/enlargement-policy/glossary/accession-criteria_en

13) European Commission, (17 June 2022), *"Opinion on the EU membership application by Georgia"*, (17 June 2022), https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

14) European Commission, (17 June 2022), *"Statement by President von der Leyen on the Commission's opinions on the EU membership applications by Ukraine, Moldova and Georgia"*, (17 June 2022), https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/STATEMENT_22_3822

15) Georgian Journal, (12Feb. 2022), *"Georgia's Democracy Index Declines For 4th Consecutive Year"* (June 2022), https://georgianjournal.ge/politics/37790-georgias-democracy-index-declines-for-4th-consecutive-year.html

16) Gvalia, Giorgi. Lebanidze, Bidzina. & Siroky, David S. (2019) *"Neoclassical realism and small states: systemic constraints and domestic filters in Georgia's foreign policy"*.

17) Global Risk Profile (2021), *"GLOBAL CORRUPTION INDEX 2021"*, (June 20222), https://risk-indexes.com/global-corruption-index/?fbclid=IwAR21SZ195YuvGvf8B38CMhnGbNkQbnxwNJwr5trt_kEOnKWCBVE_TUFTjWw

18) Heritage.org (2022), *"2022 INDEX OF ECONOMIC FREEDOM"* (June 2022), https://www.heritage.org/index/ranking

19) Isabeau van Halm (11/05/2022) *"How can the EU end its dependence on Russian gas?"*, 9/06/2022, https://www.energymonitor.ai/policy/how-can-the-eu-end-its-dependence-on-russian-gas

20) ILGA-EUROPE, (15.05.2022), *"RAINBOW EUROPE MAP AND INDEX 2022"*, (19, June 2022), https://www.ilga-europe.org/report/rainbow-europe-2022/

21) Mearsheimer, John J. 2014b. *"Why the Ukraine Crisis is the West's Fault: Liberal Delusions That Provoked Putin."* Foreign Affairs 93 (5): 1–12.

22) Mtavari.tv, (7ივნ.2022), *"საქართველოში ომთან დაკავშირებით, დასავლეთის პასუხი საკმარისი არ იყო"* | გენერალი ბრიდლავი, (10ივნ. 2022), https://mtavari.tv/news/87898-sakartveloshi-omtan-dakavshirebit-dasavletis

23) National Democratic Institute, (აპრილი,2022), *„საზოგადოების განწყობა საქართველოში"*, (ივნისი, 2022), https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_March%202022%20poll_public%20version_GEO_VF.pdf

24) NATO, (10.06.2022), *"Enlargement and Article 10"*, (18.06.2022), https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_49212.htm

25) NUMBEO (2022), *"Safety Index by Country 2022"* , (June 2022) https://www.numbeo.com/crime/rankings_by_country.jsp?title=2022&displayColumn=1

26) NATO, (14.06.2022), *"Consensus decision-making at NATO"*, (18.06.2022), https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_49178.htm#:~:text=All%20NATO%20decisions%20are%20made,agreement%20reached%20by%20common%20consent.

27) Rose, Gideon. *"Neoclassical Realism and Theories of Foreign Policy,"* World Politics, 51 (October 1998).

28) Reporters Without Borders (2022), *"Reporters Without Borders Index, 2022"* , https://rsf.org/en/index

29) REUTERS, (18.05.2022), *"How Turkey spoiled NATO's historic moment with Finland, Sweden"*, (21.05.2022), https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/issue-brief/nato-priorities-initial-lessons-from-the-russia-ukraine-war/?fbclid=IwAR3tTDAD717Fn_JlKpTe0CruLnaNBf-7lq3CMMnqc5Yqkd3mq564ww1Rh9Y

30) Senator G Craughwell, (18 June 2022), https://twitter.com/GCraughwell/status/1538111902693433344?ref_src=twsrc%5Etfw%7

Ctwcamp%5Etweetembed%7Ctwterm%5E1538111902693433344%7Ctwgr%5E%7Ctwcon%5Es1_&ref_url=https%3A%2F%2Fnewsreport.ge%2Fe18393e18390e18395e18398e18395e18398e183ace183a7e18394e18397-2008-e183ace1839ae18398e183a1-8-e18390e18392e18395e18398e183a1e183a2e1839d%2F (20 June 2022)

31) Transparency International (2021), "CORRUPTION PERCEPTIONS INDEX" , (June 2022), https://www.transparency.org/en/cpi/2021

32) 1tv.ge, (20.06.2022), *"ვიქტორ ორბანი ევროკავშირის წევრებს მოუწოდებს, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, კანდიდატის სტატუსი საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინასაც მიანიჭონ"* (20.06.2022), https://1tv.ge/news/viqtor-orbani-evrokavshiris-wevr-qveynebs-mouwodebs-ukrainasa-da-moldovastan-ertad-kandidatis-statusi-saqartvelosa-da-bosnia-hercegovinasac-mianichon/?fbclid=IwAR0PZ0Br49Qgb9wsvCyAP231dECC_fHY5euWN-GaqoD_clCqZ5hy1LCkhxc

33) The Human Freedom Index 2021, *" A Global Measurement of Personal, Civil and Economic Freedom"* (Accessed 19 June 2022), https://www.fraserinstitute.org/sites/default/files/human-freedom-index-2021.pdf

34) The World Bank (24 Oct. 2019), *"Georgia Ranks 7th in the World for Ease of Doing Business, says Latest World Bank Study"* (June 2022), https://www.worldbank.org/en/news/press-release/2019/10/24/georgia-ranks-7th-in-the-world-for-ease-of-doing-business-says-latest-world-bank-study

35) World Justice Project, (2021), *"WJD Rule of Law Index"* (Accessed 19 June 2022), https://worldjusticeproject.org/rule-of-law-index/

დანართი #1: სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი

1) როგორი იყო ახლად დამოუკიდებლობა აღდგენილი საქართველოს საგარეო პოლიტიკა და პრიორიტეტები? ურთიერთობები დასავლეთთან?

2) რატომ აირჩია საქართველომ სახელმიწფოს განვითარების ევროატლანტიკური გზა? თქვენი აზრით იყო თუ არა შესაძლებელი საქართველოსთვის ტერიტორიული და სხვა სახის პრობლემებისთვის თავის არიდება რუსულ ორბიტაზე დარჩენით?

3) როგორი იყო საქართველოს ისტორიული ურთიერთობები ევროპულ სახელმწიფოებთან? იყო თუ არა საქართველოსთვის დასავლური მისწრაფებები სიახლე? გამომდინარეობდა თუ არა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება (იგულისხმება ვარდების რევოლუციის შემდგომ განახლებული საგარეო პოლიტიკა და პრიორიტეტები) რუსეთიდან დასავლეთის მიმართულებით ისტორიული ურთიერთობებიდან და გამოცდილებიდან?

4) რა გეოსტრატეგიული ფასი და მნიშვნელობა აქვს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირისთვის? რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი გეოსტრატეგიული მდგომარეობა? არის თუ არა გეოსტრატეგიული მდგომარეობა რეფორმებზე მნიშვნელოვანი?

5) რა უშლის ხელს საქართველოს, რომ გახდეს ნატოსა და ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი? (არსებობს ქეისები, რომ მხოლოდ სტანდარტებთან შესაბამისობა არ არის გადამწყვეტი ფაქტორი. ნატოს შემთხვევაში ესაა ალბანეთი, ჩრდილოეთ მაკედონია და ისლანდია, ხოლო ევროკავშირის შემთხვევაში თითქმის მთლიანად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები)

6) არის რუსული ოკუპაცია ყველაზე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებებისთვის?

7) როგორია საქართველოს რეგიონალური და გლობალური პოზიცია (მდგომარეობა), როლი და რა გავლენას ახდენს ეს ყოველივე საქართველოს ევროატლანტიკურ

ინტეგრაციაზე? (ევროკავშირისთვის და ნატოსთვის რამდენად ხელსაყრელი და ფასეულია ჩვენი რეგიონალური და გლობალური მდგომარეობა და როლი?)

8) თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველოს ტერიტორიული და პოლიტიკური პრობლემები დასავლეთის გილგრილი პოლიტიკის დამსახურება? (იგულისხმება: 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე სამოქმედო გეგმის, ე.წ მაპის არ მიცემა და საქართველოსთვის თანამედროვე თავდაცვითი იარაღის მიყიდვაზე არსებული შეზღუდვები, ასევე 2008 წლის ომის შემდგომ საქართველოსთვის ცეცხლის გაუხსნელობის ვალდებულება)

9) რა რეგიონალური და გლობალური მნიშვნელობის ცვლილებები მოჰყვა ყარაბაღის 2020 წლის ომს და რუსეთ-უკრაინის ამჟამად მიმდინარე ომს? და შეუძლია თუ არა აღნიშნულ ცვლილებებს საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობის გაზრდა ევროკავშირისთვის და ნატოსთვის? (თქვენი აზრით, მოახდენს თუ არა აღნიშნული ცვლილებები დადებით ან უარყოფით გავლენას საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების კუთხით?)

10) რას ურჩევდით საქართველოს და ჩვენს დასავლელ პარტნიორებს, საქართველოს ევროატლანტიკური მიზნებისკენ მიმავალ გზაზე?

11) რამეს ხომ არ დაამატებდით?